# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 აპრილი 2006 №81 (2703) ფასი 50 თეთრი


# თამაში გამჭოლი პასებით

## ახალი ფასები ტალახის აუქციონზე: ამერს ორმოცდაათი ათასისა ესროლეს





ამერელი თენგიზ ჩიკვილაძის ფოთში გატანილ ერთადერთ გოლს ბევრი ნული გამოება



## ანას ჩარლსტონი

ტატიშვილი ზემოურებს გაუშინაურდა

16

# მინგეს ძალიან მინდა

...ეს ჩემი ოფიციალური დებიუტია და, რა თქმა უნდა, მოგების დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ თუ მატჩი ფრედ დასრულდა, ესეც არ იქნება საგანგაშო, მაშინ ვეცდებით, შინ მოვიგოთ. და მაინც: ძალიან გვინდა ყველას, რომ გავიმარჯვოთ და იმედია, ასეც მოხდება.

ინტერვიუ რალფ მინგესთან იხილეთ მეორე გვერდზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელიავას აღარ ელიან

## რალფ მინგე: დებიუტს მოგება უხდება



ბადრი [illegible] ფოტო

დღეს თბილისის დროით 20 საათზე მალტის „ტა ქალიზე" მასპინძელთა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო შეხვედრას გამართავენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, რიგის „სკონტოს" ხელმძღვანელობამ პრობლემები შეუქმნა ზაალ ელიავას და მას მალტაში აღარ ელიან. კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც ახალგაზრდულმა ნაკრებმა შეიძლება მოისაკლისოს, მათე ღვინიანიძეა — შეძლებს თუ არა იგი თამაშს, დღეს გაირკვევა. გუშინ კი რალფ მინგეს დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ...

— ვარჯიში უკვე გქონდათ?

— კი, დღეს დილითაც გვქონდა ვარჯიში, რათა ხვალინდელ მატჩს მომზადებულნი შევხვდეთ.

— რამდენად კმაყოფილი ხართ ფეხბურთელთა ფორმით?

— ფეხბურთელთა მომზადებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბოლო ორი თვის მანძილზე ვაკვირდებოდი მათ და მინდა გითხრათ, რომ ნაკრებისთვის ასეთი განწყობა ჯერ არ შემინიშნავს. ბიჭები ძალიან მონდომებულნი არიან.

— მალტაზე კლაუს ტოპმიოლერიც ჩამოვიდა...

— ხშირად გაიგებდით, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ. კლაუსი ძალიან მეხმარება და თან ფეხბურთელებს აკვირდება, რადგანაც ისინი მისი ნაკრების მომავალნი არიან. არ გამოვრიცხავთ, რომ რამდენიმე ავსტრიულ შეკრებაზეც წავიყვანოთ.

— უკვე გადაწყვიტეთ თუ არა ვინ იქნება ძირითადში?

— დღეს ოთხ საათზე შეკრება გვაქვს, სადაც ყველაფერზე შევთანხმდებით. ხვალ დილისთვის კი ყველა დეტალს საბოლოოდ დავაზუსტებთ და ძირითადი შემადგენლობაც მაშინ მეცოდინება.

— გუნდის კაპიტანი ვინ იქნება?

— ჯერჯერობით არც ეგაა ბოლომდე გადაწყვეტილი.

— შეკრებაზე 18 ფეხბურთელი გამოიძახეთ და ცოტა ხომ არ არის?

— არა. ვფიქრობ, ისეთი მომზადებული მოთამაშენი, როგორნიც ეს ბიჭები არიან, სრულიად საკმარისია.

— გუნდი ექსკურსიაზე ხომ არ გყავდათ?

— ქალაქში გუნდთან ერთად არ გავსულვართ, მაგრამ ერთმანეთთან ხშირად ვსაუბრობთ. საერთოდ, მინდა, ყველა ფეხბურთელი კარგად გავიცნო და დავუახლოვდე. ეს ჩვენს მომავალ ურთიერთობასაც წაადგება.

— მალტასთან ფრე დაგაკმაყოფილებთ?

— ეს ჩემი ოფიციალური დებიუტია და, რა თქმა უნდა, მოგების დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ თუ მატჩი ფრედ დასრულდა, ესეც არ იქნება საგანგაშო, მაშინ ვეცდებით, შინ მოვიგოთ. და მაინც: ძალიან გვინდა ყველას, რომ ხვალ გავიმარჯვოთ და იმედია, ასეც მოხდება.

**ნინო სილაგაძე**

# ასათიანი იწყებს




**ერთი** კვირაც და, მალხაზ ასათიანი სრული დატვირთვით ვარჯიშს შეძლებს — ასეთი სასიამოვნო ამბავი უთხრეს მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველ ლეგიონერს გუშინ ექიმებმა.

შეგახსენებთ: მალხაზი რუსული პრემიერლიგის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დაშავდა ესპანურ შეკრებაზე — ლავიწის ძვალი გაიტეხა და საოპერაციო გახდა. მას შემდეგ იგი უქმად იყო, ერთი კვირის წინ კი ძუნძულის ნება დართეს.

გუშინ კი ასათიანს ერთხელაც გადაუღეს რენტგენი და დასკვნაც ასეთია: შეხორცება კარგად მიდის და ერთ კვირაში ყველაფერი წარსულს ჩაბარდება...

**ლუკა თალაკვაძე**



# ეროვნული გაწითლდა

## სტადიონი მუშებით აივსო

**გუშინ** ეროვნულ სტადიონს წითელ უნიფორმიანი ორასამდე მუშა შეესია და რეკონსტრუქციაც დაიწყო.

მართალია, თბილისის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა სტადიონის კარი გუშინ ჟურნალისტებისთვის დაკეტა, მაგრამ ამ საქმისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ერთი-ორი კადრი მაინც გადავიღეთ და აქვე გთავაზობთ.

„ეროვნული სტადიონის 30-წლიანი მართვის უფლებაზე მერიამ, მოგეხსენებათ, კონკურსი ამას წინათ გამოაცხადა და შედეგი ცნობილი 10 აპრილს უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო განაცხადების მიღების ბოლო ვადა მერიამ 14 აპრილამდე გადასწია. შესაბამისად, ამ კონკურსის საბოლოო შედეგის გამოცხადებაც შეყოვნდა და, როგორც გავიგეთ, ორშაბათს ითქმება: ეროვნული სტადიონის პოტენციური ინვესტორი კი ჯერჯერობით ერთადერთია — სპორტსაზოგადოება „დინამო" და უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტადიონის 30-წლიან მართვის უფლებასაც ის მიიღებს. კონკურსანტებისადმი მერიის მოთხოვნა კი ის არის, რომ „ეროვნულის" სარეკონსტრუქციოდ სულ ცოტა 10 მილიონი დოლარი დაიხარჯოს.

მოკლედ, „ეროვნულზე" მუშაობა დაიწყო და სექტემბრისთვის ტრიბუნა და მოედანი თანამედროვე სტანდარტებისა უნდა იყოს. სხვა სამუშაოები კი სტადიონზე, რა თქმა უნდა, შემოდგომაზეც გაგრძელდება.

**ძოგა ინასარიძე**

*ავტორის ფოტოები*



### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
XXXI ტური

პაშინგი 1:0 რაპიდი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

ავსტრია (მ) 1:2 ალტახი
კუფშტაინი 0:1 გრატკორნი
ლეობენი 2:3 კაპფენბერგი

### პოლონეთი

პირველი ლიგა. XXIV ტური

არკა 1:1 კრაკოვია
ბელხატოვი 2:0 პოგონი
გურნიკი 2:2 ზაგლებე
გროცლინი 0:0 ოდრა
ვისლა 4:0 პლოცკი
ამიკა 0:3 კორონა

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ბრესტი 1:1 სეტე

თასის მეოთხედფინალი

პსჟ 2:1 ლილი
ლიონი 1:2 მარსელი

### შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

დანდი 0:1 ბრეჩინი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი

გრეტნა 6:0 სტირლინგი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები

ჰამბურგი (მ) 2:0 ლევერკუზენი (მ)
ჰერტა (მ) 3:1 კიოლნი (მ)
ქემნიცი 0:3 კილი

თასის ნახევარფინალი

აინტრახტი 1:0 არმინია

### ბელგია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

*მუსკრონი* 1:1 შარლერუა (1:0)

### სლოვაკეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

*ტრნავა* 1:1 ნიტრა (3:1)

### ინგლისი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები

კოლჩესტერი 2:0 ჰარტლპული
სუონსი 2:1 სუინდონი
უოლსოლი 0:1 ბორნმუთი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩი

როჩდეილი — კარლაილი გადაიდო

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები

დაგენემი 2:4 ალტრინჩემი
სკარბორო 0:0 ტემუორთი

### იტალია

სერია C1/B
გადადებული მატჩი

ფოჯა 1:1 ნაპოლი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

უდინეზე 2:2 *ინტერი* (0:1)

### სერბეთი

თასის ნახევარფინალი

რადნიჩკი 0:5 ცრვენა ზვეზდა

# მუჯირმა პრემიერლიგა საუკეთესოდ შეათამაშა

## ერთადერთი ქართველი რუსულ ნომინაციებში



რუსულ პრემიერლიგაში ოთხი ტური მიილია და „სპორტ-ექსპრესმაც" ტრადიციულად შეფასებები გამოაქვეყნა.

საინტერესოა, რომ გამთამაშებელთა შორის 6,25 ქულით „კრილია სოვეტოვის" ქართველი ლეგიონერი დავით მუჯირი ლიდერობს.

ქართველთაგან მუჯირი მოხვდა კიდევ ორ ნომინაციაში — უცხოელთა და ახალწვეულთა შორის „მუმუს" ერთნაირი შედეგი აქვს — მესამე ადგილი.

შეგახსენებთ, რომ მეოთხე ტურში მუჯირმა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან" შესანიშნავად ითამაშა — დუბლი და საგოლე პასი მიითვალა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

**ბახა შალამბერიძე**




### 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
### ჩვენი მეტოქე

# უკრაინის სამ-ზადისი

ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე უკრაინა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება და უკვე სამი ამხანაგური მატჩი დაგეგმა. ოლეგ ბლოხინის გუნდი 2 ივნისს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში ასევე ჩვენ მეტოქე იტალიას გაეჯიბრება, 5 ივნისს ლიხტენშტაინთან მოსინჯავს ძალას, 8-ში კი ლუქსემბურგთან მატჩით დაასრულებს მზადებას.

**ბახა შალამბერიძე**



# ვინ ატრიალებს ჭორის

## კოლხური მითი: კოლხეთმა რვა თვის

*„და მაინც, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა „ამერი“ გალანძლეს და გასვარეს: მხედველობაში ფოთის „კოლხეთთან“ საპასუხო სათასო მატჩი მაქვს — ვფიქრობ, თავად ამერელებსაც ეცოდინებათ, რომ იმ მატჩის კეთილსინდისიერი სცენარით განვითარებაშიც შეიტანეს ეჭვი და ეს ყველაფერი 50 ათასი ლარი დააფასეს (სხვა თანხაც იყო ხსენებული — 20 ათასი დოლარი)“. ეს გახლავთ ციტატა გაზეთ „სპორტში“ გუშინ გამოქვეყნებული კონსტანტინე გოგიშვილის წერილიდან, რომელსაც „პატიოსანი ფეხბურთი“ ჰქვია...*



კეთილსინდისიერი სცენარით ამა თუ იმ მატჩის განვითარებაში ადრეც არაერთხელ შეუტანიათ ეჭვი და ეჭვის ობიექტი თითქმის ყველა ქართული გუნდი გამხდარა, თუმცა ფაქტების არქონის გამო ეჭვები გაზეთის ფურცლებზე არ ასახულა. მით უმეტეს, არასოდეს დასახელებულა კონკრეტული თანხა.

პატივცემულო მკითხველო, გულზე ხელის დადებით გამოუტყდი საკუთარ თავს — გჯერა თუ არა, რომ თამაში გარიგდა? ზოგადად ქართული ფეხბურთის ავტორიტეტიდან გამომდინარე, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი ადამიანი გაზეთში გამოთქმულ თუნდაც ბუნდოვან და სხვათა სიტყვაზე აწყობილ ვარაუდს წყალგაუვალ ჭეშმარიტებად მიიჩნევს. უბრალოდ, ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ცუდს გაცილებით სწრაფად და იოლად იჯერებს. ფეხბურთის კლუბ „ამერის“ ხელმძღვანელობასაც კარგად ესმის, რომ სავსებით შესაძლოა, 100-დან 99-მა მათ მიერ თამაშის ყიდვა ირწმუნოს და...

*ვახტანგ ბზიკაძე, „ამერის“ გენერალური მენეჯერი: ტრადიციისამებრ, „ამერი“ ყველა სეზონში ერთხელ მეტოქეს საკუთარ ვიმპელს უსახსოვრებს ხოლმე, რომელზეც საკლუბო დევიზია წარწერილი — „ძალა და ღირსება“. „ამერის“ ძალა ღირსებაშია, რომელსაც ოთხი წლის კლუბი დღემდე დაჰკანკალებს და ყოველთვის გაუფრთხილდება.*

*ჩემი აზრით, მსგავსი ჭორების გაჩენა ერთია და მათი გაზეთის ფურცლებზე გამოჩენა — მეორე. ორივე შემთხვევაში ცილისწამებასთან გვაქვს საქმე, რაც ჩვენი ღირსების საკითხია.*

*მაგრამ საკითხის ასე დასმა, ვფიქრობ, შეფასების კრიტერიუმთა განსხვავებიდან გამომდინარეობს. გააჩნია, ვინ რას თვლის ულირს საქციელად, ვისთვის ამართლებს მიზანი საშუალებას და საერთოდ, ვის რა მიაჩნია წარმატებად.*

*ორი წლის წინ, ანუ თავის სადებიუტო სეზონში „ამერი“ პირველი ლიგიდან გავარდა, რისი მიზეზიც ზედიზედ ოთხჯერ ერთნაირი ანგარიშით, 0:1 განცდილი მარცხი იყო. შემოვლითი გზებით თუნდაც ერთი მარცხის თავიდან აცილება ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად საკმარისი იქნებოდა, მაგრამ ჩვენს კლუბს საკუთარი პრინციპის ღალატი ასეთი ძნელბედობის ჟამსაც არ გაუვლია გონებაში და მით უმეტეს, არ დაუშვებს ამას აწმყოსა თუ მომავალში.*

*იმ სეზონში „ამერის“ წარმატება ის იყო, რომ საკუთარ სინდისთან მართალი დარჩა და ეს იყო ნუგეშიც, რაც მომავალ სეზონს დაედო საფუძვლად.*

*„ამერმა“ უმაღლესი ლიგის საგზური ნაღდ 30-მატჩიან ბრძოლაში მოიპოვა და ვინც ამას ეჭქვეშ დააყენებს, ან სინდისთანაა მწყრალად, ანაც საღ აზრთან.*

*„ამერის“ ასეთი სიჯიუტე ყარყუმისას წააგავს, რომელიც იმდენად ფაქიზია, რომ საკუთარი ბეწვის სისპეტაკის გადასარჩენად უმალ მახისკენ მიმავალ ბილიკს გაჰყვება, ვინემ წუმპესა და უწმინდურ კვალში გაისვრება.*

*ვინც „ამერის“ ღირსებას ასე დაუდევრად შეეხება და მასში მხეცს გააღვიძებს, სიმართლის ძალას მაინც ნუ დაივიწყებს.“*

და რა კავშირშია ამ ყველაფერთან გაზეთი „სარბიელი“? მით უმეტეს, ჩვენ თამაშის გარიგების თაობაზე ეჭვი არ გაგვჩენია. მორიგი ეჭვისა და ვარაუდის თავიდან ასაცილებლად კი შეგახსენებთ, რომ ფეხბურთის კლუბ „ამერის“ პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია იმავდროულად გაზეთ „სარბიელის“ გამომცემელიც გახლავთ და მისი გაზეთის თანამშრომლებს ჟურნალისტური მოკვლევის ჩატარება დაგვავალა.

ალბათ ბუნებრივად გაჩნდება მორიგი ეჭვი: „სარბიელის“ თანამშრომლები მტკიცებულების მოძიების შემთხვევაშიც კი ვერ გაბედავენ სიმართლის, ანუ იმის თქმას, რომ „ამერმა“ თასის ნახევარფინალში უპატიოსნო გზით გაალწია. ამთავითვე ვაცხადებთ: მზად ვართ, გამოვაქვეყნოთ ნებისმიერი არაანონიმი პიროვნების ნებისმიერი არგუმენტირებული ინფორმაცია, რომელიც „კოლხეთი“ — „ამერის“ სათასო შეხვედრას ან ნებისმიერ სხვა მატჩს უკავშირდება.

სანამ უშუალოდ დეტალებზე გადავიდოდეთ, ისიც ვთქვათ, რა ფორმით ვაპირებთ მოკვლევას. უპირველესად, რა თქმა უნდა, იმ პიროვნებებთან გასაუბრებაა საჭირო, ვისაც რაიმე შეხება ჰქონდა ხსენებულ შეხვედრასთან — კლუბების ხელმძღვანელებთან, მწვრთნელებთან, ფეხბურთელებთან, მსაჯებთან, ოფიციალურ პირებთან და მატჩზე დამსწრე ჟურნალისტებთან. თუმცა პირველი რიგის ამოცანად მაინც გაზეთ „სპორტში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორთან დაკავშირება მივიჩნიეთ. სხვაც თუ არაფერი, თუკი ქართული ფეხბურთის სიწმინდე რამედ გვიღირს და თუკი კონკრეტული ინფორმაციაც გაგვაჩნია მატჩის გარიგების შესახებ, მისი დამალვა ქართული ფეხბურთისთვის არანაკლები ზიანის მომტანი გვგონია, ვიდრე თავად შეხვედრის გარიგება.

გაზეთ „სპორტში“ გამოქვეყნებული წერილის „პატიოსანი ფეხბურთის“ ავტორი *კონსტანტინე გოგიშვილი: „მე „კოლხეთ“ — „ამერის“ თამაშს არ დავსწრებივარ, მაგრამ მატჩის შემდგომ დღეებში მომიწია ფოთში ყოფნამ და ქალაქში გავრცელებული ხმები ასეთი იყო: „ამერმა“ ფული ჩამოიტანა და „კოლხეთმა“ არ აიღო. ამას ლაპარაკობდა ფოთის მოსახლეობა, გულშემატკივრები. ეს ხმები მარტო ჩემამდე არ მოსულა, საკმაოდ გახმაურდა.“*

გულახდილად ვიტყვით, რომ იმედი გაგვიცრუვდა. გვინდოდა, ჯაჭვს გავყოლოდით და ამ ხმების გამავრცელებელი პირველწყაროსთვის მიგვეგნო, რომელიც მერე კომპეტენტურად გვიამბობდა, თუ რა გარიგება შედგა ან არ შედგა კლუბებს შორის.

მაგრამ ჯაჭვი პირველივე რგოლზე გაწყდა. კონსტანტინე გოგიშვილმა ხმების გამავრცელებლად ფოთის მოსახლეობა დაასახელა. არადა, მოსახლეობა კრებითი სახელია, რომელსაც არც გვარი აქვს და არც მისამართი.

ერთი სიტყვით, სიმართლის დადგენის ყველაზე ნაღდი გზა მოგვეჭრა, რის მერეც სხვა გზას დავადექით და საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს გავესაუბრეთ, რომელიც იმ დღეს „ფაზისზე“ იყო.

*მამუკა ქანთარია (სპორტი): „არასოდეს არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ იმ თამაშში მსგავსი არაფერი ჩანდა. არა მგონია, ჩვენს ფეხბურთელებს ისეთი სამსახიობო ოსტატობა ჰქონდეთ, რომ ამ დონის სპექტაკლი დადგან. მიცემულ თამაშში ათასნაირად შეიძლება საგოლე ეპიზოდის „გატარება“. ჩიკვილაძემ ისეთი გოლი გაიტანა, გარიგებულ თამაშებში რომ არ გადის. მატჩის შემდეგ საკმაო ხანს შევყოვნდი სტადიონზე და შემიძლია გითხრათ, რომ ამგვარი რამ არც ქომაგთა მხრიდან თქმულა. ფოთში ფეხბურთში საკმაოდ ჩახედული ქომაგია და მადლობლებიც დარჩნენ, რომ მათმა გუნდმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღო. „ამერის“ გოლის მერე ყველაფერი ცხადი გახდა — „კოლხეთი“ ორი გოლის გამტანი და ნახევარფინალში გამსვლელი არ იყო.“*

*ვახტანგ დათიაშვილი (ოლიმპი): „ამგვარი რამ პირველად გავიგე. საკმაო გამოცდილება მაქვს საიმისოდ, რომ გარიგებული თამაში ამოვიცნო. შეიძლება ყველაფერი არ დავწერო, მაგრამ ჩემში დაილექოს გარკვეული ეჭვი. ამ შემთხვევაში მსგავსი არაფერი ყოფილა. პირველ ნახევარში თანაბარი თამაში იყო და გოლის ეპიზოდში „ამერს“, უბრალოდ, გაუმართლა. მთელი მეორე ტაიმი „კოლხეთი“ უტევდა, მაგრამ ღირებული ვერაფერი შექმნა. სუფთა თამაში იყო და ამაში დარწმუნებული ვარ.“*

*გიორგი ჩიხრაძე, „ამერის“ მთავარი მწვრთნელი: ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატში არის რამდენიმე გუნდი, რომლებსაც „ამერი“ თვალებში ეჩხირება და სურთ, ჩვენი საწინააღმდეგო კამპანია გააჩაღონ. პირიქით, ჩვენც ძალიან მოწადინებულნი ვართ საიმისოდ, რომ „კოლხეთი“ — „ამერის“ მატჩის გამოძიება დაიწყოს და თუკი ვინმე დამნაშავეა, უმკაცრესად დაისაჯოს. ეს ჩვენი დიდი სურვილია. ისე კი, დარწმუნებული ვარ, რომ „ამერის“ პატიოსნება რამდენიმე გუნდს გულზე არ ეხატება და ცდილობენ, მორევში ჩაგვითრიონ.*

*— „ამერმა“ ფოთში თამაშის მოსაგებად დიდი ფული ჩაიტანაო. რა უნდა იყოს ამის თქმის საფუძველი?*

*— ჯერ ის ვთქვათ, „ამერი“ მეტოქეებს რომ ურიგდებოდეს და თამაშებს ყიდულობდეს, ახლა ჩემპიონატში პირველ ან მეორე ადგილზე მყარად ვიქნებოდით. ეჭვის საფუძველი კი არ ვიცი, რა უნდა იყოს, თუმცა ვფიქრობ, რამდენიმე გუნდი და მწვრთნელი „ამერის“ სახელით სპეკულაციას ეწევა.*

*— ისიც ითქვა, „ამერმა“ წინა ტურის მატჩი „ვიტ ჯორჯიასთან“ შეგნებულად დათმო და „სიონთან“ სათასო შეხვედრისთვის ძალები დაზოგაო...*

*— „ვიტ ჯორჯიასთან“ არც ერთი ფეხბურთელი შეგნებულად არ დაგვისვენებია. „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის წინ რვა ფეხბურთელი ავად იყო და მათ თამაში არ შეეძლოთ, რამდენიმეს კი მატჩის დღესაც სიცხე ჰქონდა. ვირუსი რამდენიმე ფეხბურთელს ჯერ კიდევ „ცხინვალთან“ მატჩამდე შეეყარა და მერე სხვებსაც გადაედოთ. აი, ესაა სიმართლე და გამორიცხულია, „ამერს“ ვინმესთან თამაში შეგნებულად დაეთმო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩალხს?
## ხელფასი იუარა

რაკი გიორგი ჩიხრაძემ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩი ახსენა, რომლის თაობაზეც ბოლნისელებს გაუჩნდათ ეჭვი, საჭიროდ ჩავთვალეთ, ვეტერინართა პრეზიდენტისთვისაც მიგვემართა. მერე კი ისევ ფოთურ მატჩს მივუბრუნდებით.

*გურამ რუხაძე, „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი: „ამერმა“ „ვიტ ჯორჯიას“ თამაში დაუთმოო, არასერიოზულ თემად მიმაჩნია. ყველამ იცის, რომ „ამერი“ და „ვიტ ჯორჯია“ ის გუნდები არიან, განსაკუთრებულად რომ ებრძვიან გარიგებულ მატჩებს. მსაჯმა ამ შეხვედრას ოთხი წუთი დაამატა და როცა დამატებული მესამე წუთი მიდიოდა, ფეხზე წამომდგარი „ამერის“ მწვრთნელი ფეხბურთელებს მითითებებს აძლევდა, ჩვენი კლუბის გენერალურ დირექტორ მალხაზ კაკაურიძეს ვუთხარი, უკვე 3:1-ია და რა ჭირთ ამერელებს, კვლავ ასეთი მონდომებით რომ თამაშობენ-მეთქი.“*

*სოსო ფილია, „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი: რა შემიძლია ვთქვა? თუ დღეს საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე გუნდებიდან რომელიმეზე შეიძლება ითქვას, ჯენტლმენურიაო, პირველ რიგში „ამერზე“. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ამ ჭორის გამავრცელებლებს, ასე ძვირად რომ შეგვაფასეს — 50 ათასი ლარი მთელი ჩემი გუნდის რვა თვის ხელფასია. ვინც საქართველოს ჩემპიონატს იცნობს, ისიც იცის, რომ ამხელა თანხებზე საუბარი არარეალურია.*

*— ვის შეიძლება აძლევდეს ხელს ამ ხმების გავრცელება?*

*— არ დავასახელებ, მაგრამ ვიცი, ვინც ავორებს ამ ჭორებს. ყველაზე მეტად მოჩალიჩე სწორედ ეს ხალხია და მათ ვინაობას მალე გაიგებს საზოგადოება.*

*— ანუ სათავე ჟურნალისტებში კი არა, კლუბებში ვეძებოთ?*

*— პირველ რიგში მწვრთნელებში, კლუბის მეპატრონეებს რომ აბრუებენ — საკუთარი წარუმატებლობის გასამართლებლად ეუბნებიან, მეტოქეები უწესო გზით აღწევენ შედეგსო.*

*— თამაშების გარიგებას საერთოდ გამორიცხავთ?*

*— არ ვამტკიცებ, რომ საქართველოში გარიგებული თამაშები არ არის, მაგრამ არ არიან ჩვენში ისეთი გუნდები, ჩემპიონობის მოსურნემ წესიერ ბრძოლაში ვერ დაამარცხოს და ჩაწყობა დასჭირდეს.*

*გიორგი ვადაჭკორია, „კოლხეთი“ — „ამერის“ საპასუხო სათასო მეოთხედფინალის არბიტრი: აბსურდი და სისულელეა იმის თქმა, რომ „კოლხეთი“ — „ამერი“ ჩაწყობილ-გარიგებული იყო. არაფერი საეჭვო იმ მატჩში არ შემიმჩნევია. „კოლხეთს“ საწყის 15 წუთში სამი ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ კარგად თამაშობდა მეკარე. „ამერს“ კი იმ ერთადერთი გოლისას ცოტა ქარიც წაეხმარა, საჯარიმოში ჩაწოდებულმა ბურთმა მიმართულება ოდნავ შეიცვალა, რაც საგოლედ საკმარისი აღმოჩნდა.*

*— მაინც რა საფუძველი უნდა ჰქონდეს იმ ეჭვებს, რაც „კოლხეთი“ — „ამერის“ მატჩის შემდეგ გამოითქვა?*

*— არ ვიცი, რა გიპასუხოთ. თუ ვინმეს შავი პიარის ავორება სურს, ეს სხვა საქმეა და ამას ყველა ვარიანტში მოახერხებს.*

*ნოდარ ახალკაცი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: „უკვე ვესაუბრე „ამერის“ პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას. ხუთშაბათს უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტების შეკრებაა, რომელზეც ყველაფერზე ღიად ვიმსჯელებთ. არ მინდა, ასეთი რამეები უყურადღებოდ დარჩეს და არც ის მინდა, ვინც ასეთ ინფორმაციებს ავრცელებს, პასუხისმგებლობა არ დაეკისროთ, მით უმეტეს მაშინ, როცა ასეთი სახით გავრცელებულ ინფორმაციას, ცოტა არ იყოს, ბრალდების სახე აქვს. ინფორმაციას „კოლხეთი“ — „ამერის“ შესაძლო გარიგების შესახებ პრესაში გავეცანი, მანამდე ასეთი მითქმა-მოთქმა ამ მატჩზე არ მსმენია. თუ რამე ფაქტი გამოაშკარავდება, აღმასკომის სხდომას მოვიწვევთ და ამის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებსაც ვაუწყებთ.“*

*თემა იმდენად ტევადია, ერთი საგაზეთო ჯერი ვერაფრით დაიტევდა. ესეც არ იყოს, რესპონდენტებთან საუბრისას ისეთი საკითხებიც წამოტივტივდა, ამ კონკრეტულ შეხვედრას რომ გასცდა და ქართული ფეხბურთის წყალქვეშა დინებებს ეხმიანება.*

*მოკლედ, გაგრძელება აუცილებლად უნდა იყოს...*



*საქართველოს ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში დაძაბულობამ პიკს უნია. რა თქმა უნდა, ასეთ დროს იზრდება რისკი, რომ სტადიონებზე რაიმე ინციდენტი მოხდეს და კლუბებმა რაიმე გარიგება გაჩარხონ. იზრდება მითქმა-მოთქმაც, ესა თუ ის მატჩი ჩაწყობილი იყოო.*
*ამ ყველაფერმა ისეთი მასშტაბიც შეიძინა, რომ საგაზეთო ფურცლებზე დაიწერა, „კოლხეთი“ — „ამერის“ (0:1) თასის მეოთხედფინალურ მატჩზე ამბობენ, ჩაწყობილი იყო, რაც 20 ათას დოლარად თუ 50 ათას ლარად მოხერხდაო.*
*ცხადია, ასეთი რამ უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას, რომელიც ორგანიზებას უწევს ჩემპიონატს და თასის გათამაშებას. პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს რამდენიმე კითხვით მივმართეთ...*

# დიმიტრი რამიშვილი: პასუხს დამბრალებლებსაც მოვთხოვთ

— ჩაწყობილი მატჩების შესახებ მითქმა-მოთქმამ იმატა. როგორ ეხმაურება ამას პროფლიგა?

— ამასთან დაკავშირებით ორი დღის წინ ვისაუბრეთ მე და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და გადავწყვიტეთ, რომ ხუთშაბათს ან პარასკევს მოვაწყოთ შეხვედრა უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელებთან, რათა ვისაუბროთ არსებულ ეჭვებზე და ხმებზე. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ასეთი ეჭვები და ხმები მინიმუმამდე შემცირდეს, ხოლო თუ რაიმე გარიგება გამოაშკარავდება, ამას ჩვენი მხრიდან სამაგალითო რეაქციაც მოჰყვება.

— უშუალოდ „კოლხეთი“ — „ამერის“ გარშემო ატეხილ მითქმა-მოთქმაზე რას იტყოდით?

— ჩვენ მხოლოდ ამ მატჩით არ დავინტერესდებით. ჩემი და ახალკაცის ხელმძღვანელობით შევქმნით კომისიას, რომელშიც შევლენ ვეტერანი ფეხბურთელები და ჟურნალისტები. ეს კომიტეტი უყურადღებოდ არ დატოვებს არცერთ ჭორს და ეჭვს, ჩვენთვის ნებისმიერი მითქმა-მოთქმა მნიშვნელოვანი იქნება.

— გასაგებია, მაგრამ თუ გარიგებაში უშუალოდ მონაწილე პირმა არ გაამხილა ყველაფერი, ეს კომიტეტი ალბათ ვერავის ვერაფერს დაუმტკიცებს...

— უიმედოდ არ უნდა ვიყოთ, რადგან თუ გარიგებული თამაში ჩატარდა, ეს შესაძლოა, ადრე თუ გვიან მაინც გამოაშკარავდეს. ამის მაგალითები საქართველოს ჩემპიონატში იყო. ისეც მომხდარა, რომ მსაჯმა აღიარა, კლუბის მხრიდან ზეწოლა იყოო. შესაბამისი სანქციები უნდა მივიღოთ დამბრალებლების მიმართაც, რომლებიც ცილს სწამებენ ამა თუ იმ პიროვნებას თუ კლუბს.

— უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობამ თექვსმეტამდე რომ მოიმატა, ამით კორუფციის შანსიც გაიზარდა?

— ათგუნდიანი ჩემპიონატისას კორუფციის და გარიგებული მატჩების ალბათობა უფრო ნაკლები იყო, რადგან უფრო ნაკლები იყო უმოტივაციო გუნდების რაოდენობა.

— მითქმა-მოთქმა კორუფციის და გარიგებული მატჩების თაობაზე უფრო აგრესიულს ხდის გულშემატკივარს და, შესაბამისად, იზრდება სტადიონებზე ინციდენტების საფრთხეც...

— ასეთი საფრთხე მართლაც მატულობს და ვინც უსაფუძვლო განცხადებებს აკეთებს ვითომდა გარიგებული მატჩების შესახებ, მათ მიმართ სანქციების გატარება აუცილებელია — სიტუაციის ხელოვნურად და განზრახ გამწვავება დაუშვებელია. უსაფრთხოებას ძალიან სერიოზულად ვუდგებით, მატჩის დამკვირვებელი და დირექტორი ადგილზეც ეცნობიან ვითარებას და დირექტივებს იძლევიან, დაცვის სამსახურს კი მასპინძელი გუნდი ქირაობს, თუმც ექსცესებისგან ასი პროცენტით დაზღვეულნი ვერასოდეს ვიქნებით.

— ზოგიერთ მატჩზე ფორმიანი და უფორმო იარაღიანი ხალხიც ვნახეთ...

— ჩვენი მოთხოვნაა, რომ სტადიონზე უსაფრთხოების დამცველებს იარაღი არ უნდა ჰქონდეთ და თუ ვინმე იარაღიანი გამოჩნდება, გთხოვთ, დაუყოვნებლივ გვაცნობოთ.

— გულშემატკივრის მოზიდვა და მათთან მუშაობა — ეს უშუალოდ კლუბების მოვალეობაა, მაგრამ ფაქტია, ზოგან ძალიან ცოტა მაყურებელი დადის, ზოგან კი რამდენიმე ათასი, თუმც მეტწილად აგრესიული გულშემატკივარი...

— გულშემატკივრებთან სწორი მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია და პროფლიგა შესაბამის დირექტივებსაც აძლევს კლუბებს, ზოგიერთი კლუბისთვის საყვედურიც გვითქვამს. ამ საკითხზე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე იმუშავებს. ვაპირებთ საგანგებო სემინარების ჩატარებასაც.

— სხვაზეც ვთქვათ: პროფლიგა გულშემატკივართა მოზიდვის მიზნით ჩემპიონატის მატჩებზე ლატარიის გამართვას აპირებდა, მაგრამ...

— ვაპირებდით და ამას გავაკეთებთ კიდეც. უბრალოდ, ამ მომენტისთვის ჩვენი ინფრასტრუქტურა ამისთვის მზად არ არის. როცა კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობა იქნება და გულშემატკივრებში ნდობის ფაქტორი მოიმატებს, ლატარიასაც მაშინ ჩავატარებთ.

— 13 მაისს საქართველოს თასის ფინალზე რა ღონისძიებას გეგმავთ?

— გვინდა, პატივი ვცეთ 1981 წლის 13 მაისის ტრიუმფის მონაწილეებს. საინტერესო სცენარი გვაქვს მოფიქრებული, რასაც ჯერაც სიურპრიზად ვტოვებთ. ფინალი „მიხეილ მესხზე“ გაიმართება, რადგან ეროვნულ სტადიონზე უკვე დაწყებული იქნება სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

**დავით თავართქილაძე**

# კენჭების და პოლიეთილენის ამბავი

**გუშინ** საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა გაიმართა და ეროვნულ ჩემპიონატში თუ თასის გათამაშებაში მონაწილე კლუბებს და ფეხბურთელებს საჯარიმო სანქციები გამოუწერა.

23-ე ტურის „ზესტაფონ“ — „სიონის“ მატჩში სიონელი მიხეილ კობაური გააძევეს და დისციპლინარებმა მას 50-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს. ამავე მატჩში გულშემატკივარმა ხუთლიტრიანი პოლიეთილენის ჭურჭელი ისროლა მოედნისკენ, რისთვისაც „ზესტაფონს“ 250 ლარის გადახდა დაევალა.

ამ შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე არ მივიდა „სიონის“ მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე, რის გამოც „სიონი“ 100 ლარით დააჯარიმეს.

თასის ნახევარფინალში, „სიონ“ — „ამერის“ პირველ მატჩში ბოლნისელ არჩილ ალავიძესა და ამერელ ამირან კედელაშვილს შორის ინციდენტი მოხდა და არბიტრმა ორივე გააძევა. დისციპლინარების ვერდიქტი კი ასეთია: ალავიძეს სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია და 400-ლარიანი ჯარიმა, ხოლო კედელაშვილი ერთ მატჩს გამოტოვებს და 50 ლარს გადაიხდის.

თასის ნახევარფინალის მეორე წყვილში „ვიტ ჯორჯია“ „ზესტაფონს“ მასპინძლობდა და გვერდით მსაჯ ლევან მიქელაძეს მაყურებელმა კენჭები დაუშინა — მასპინძელი „ვიტ ჯორჯია“ 250-ლარიან ჯარიმას გადაიხდის.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

24 ტური ანონსი

# ბო-ბო

## ბოლნისი და ბორჯომი დიდ მოლოდინში არიან

*ისევ რეგიონები: ბოლო დროს ისე დაემთხვა, რომ ჩემპიონატის და თასის მთავარმატჩები სულ რაიონებში იმართება. აქეთ ბოლნისი, იქით ბორჯომი — ისეთი თამაშებია, რომ... ორივე ლიდერს ურთულესი ჯახი ელის მდევრებთან. ისე, „მდევრები“ ცოტა არასწორად ნათქვამი გამოგვივიდა, რადგან მეორე და მესამეადგილოსან გუნდს შორის სხვაობა 9 ქულაა...*



გიორგი მეგრელაძემ (მარცხნივ) და დინამოელებმა პირველ წრეში „სიონი“ 3:0 გაანადგურეს

ორი აზრი არაა: 24-ე ტური ძალიან ბევრს გადაწყვეტს, როგორც საჩემპიონო, ისე საპრიზიორო ბრძოლაში. არ დაგავიწყდეთ, რამდენიმე გუნდი შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებს — საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს ზუსტად დღეს აქვს თამაში მალტაში და...

ბოლნისში დიდი ამბები იქნება: „სიონი“ „დინამოს“ მასპინძლობს და დამატებითი ინტრიგა კახა ცხადაძის ფაქტორია — ყოფილი კლუბის წინააღმდეგ იგი საოცრად მოტივირებული რომ არის, თქმა რად უნდა. სავარაუდოდ, „თამაზ სტეფანია“ პირთამდე გადავსებული იქნება.

ცნობისთვის: „სიონმა“ პირველ წრეში სწორედ „დინამოსთან“ იწვნია პირველი წაგება, თანაც 0:3.

დღეს ცხადაძის განკარგულებაში არ იქნება ნახევარდაცვის ლიდერი ლევან ხმალაძე, „დინამოს“ კი მცველი ლევან აკობია, ნახევარმცველი გიორგი მერებაშვილი და ფორვარდი ჯაბა დვალი არ ეყოლება. ეს რაც შეეხება სალ-სალამათებს და ნაკრებში გამოძახებულებს, თორემ „დინამოს“ ტრავმირებულებიც ჰყავს...

გავიხედოთ ბორჯომში, სადაც ასევე მძიმე თამაშია — ბოლო დროს მოყოჩალებულ კურორტელებს სანქცირებული ლევან მერებაშვილი და ლიდერი რევაზ გეწაძე დააკლდებათ, „ვიტ ჯორჯიას“ კი ნაკრებელები, დავით იმედაშვილი და ნიკა გელაშვილი არ ეყოლება.

ზამბარასავით შეკუმშულმა კალენდარმა ვიტელებს ძალიან ავნო და მათმა თავკაცმა ნესტორ მუმლაძემ ამას წინათ „ზესტაფონთან“ წაგების შემდეგ დაიჩივლა, ჩემს ფეხბურთელებს მეორე ტაიმში დაღლა დაეტყოთო. კალენდარი ბარე „ბორჯომისთვისაც“ გადატვირთულია, მაგრამ მათ შედარებით სუსტ მეტოქეებთან უწევდათ ჭიდილი და „ვიტ ჯორჯიასთან“ შედარებით ქორფად იქნებიან — თან დისკვალიფიკაციამოხდილი არგენტინელი გონსალო დე პორასი უბრუნდებათ, რომელიც ძალიან დაეჩვია ქართულ გოლებს.

ჰო, ისიც გეხსომებათ, ამ გუნდების საპირველწრეო ჯახი ვეტერინარებმა 4:0 მოიგეს, თუმცა მაშინ ოთარ მარცვალაძე ჰყავდათ.

იმერული დერბია ქუთაისში, სადაც „ზესტაფონი“ მორიგი სამქულიანის მოპოვებას გეგმავს, თუმცა ამ საქმეს გიორგი განუგრავას, ალექსი ბენაშვილისა და გოგი ფიფიას გარეშე შეეჭიდება. „ტორპედო“ კი ბოლო დროს მოფერიანდა — ასე იცის გამოცდილი ფეხბურთელების დაბრუნებამ... მოკლედ, არა გვგონია, ფეროელებმა უთფლო მოგებას გამოჰკრან ხელი.

თბილისის „ამერი“ შინ იმ „კოლხეთს“ მიიღებს, რომელიც თასის მეოთხედფინალიდან გააგდო. ჩემპიონატში მიჯრით სამი წაგების შემდეგ გლდანელები მშიერი მგლებივით არიან და მართალია, ფოთელებს მაინცდამაინც სუსტი გუნდი არ ჰყავთ, მაგრამ „ყვითლებმა“ რომ ვერ მოიგონ, ნაღდად სენსაცია იქნება...

უარესი სენსაცია იქნება, თუ „ბათუმი“ ვერ მოერევა საშიშ ზონაში დაბუდებულ „სოხუმს“ — ოთარ გაბელიას გუნდმა სამეორეწრეო რვა მატჩში 22 ქულა მოაგროვა, მესამე ადგილს უმიზნებს და იაღლიშებისთვის არ უნდა ეცალოს...

ტურის დანარჩენი სამი მატჩი არცთუ ფერიანია, ქვედა პოლუსზე მყოფი გუნდები ხვდებიან ერთმანეთს, ამიტომაც მხოლოდ ცხრილს ჩავხედოთ და ამით ამოვწუროთ მათი თემა — აქაც გვარიანად შემჭიდროვებულია ქულები და თითო მოგებას ოქროს ფასი ადევს.

**ილია ნანოგაშვილი**



„ზესტაფონი“ გაახლებულ „ტორპედოს“ სტუმრობს

ბათუმი. 12 აპრილი. 16 საათი. დინამო

**ბათუმი — სოხუმი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ზ. ჯვარიძე, ზ. ასკაროლლი; თ. ხუჭუა;
დამკვირვებელი: ო. გუნთაძე

თბილისი. 12 აპრილი. 16 საათი. ამერი

**ამერი — კოლხეთი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; გ. ჩიგოგიძე, კ. ბერაძე; გ. დოგრაშვილი;
დამკვირვებელი: ი. მჭედლიშვილი

გორი. 12 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — კახეთი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; მ. ელიკაშვილი, დ. კვეტენაძე; ა. გუნთაძე;
დამკვირვებელი: ს. კოტრიკაძე

თბილისი. 12 აპრილი. 16 საათი. ოლიმპი

**ლოკომოტივი — თბილისი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; დ. კურტანიძე, ი. ურუშაძე; ხ. გაგნიძე;
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

ქუთაისი. 12 აპრილი. 16 საათი. ტორპედო

**ტორპედო — ზესტაფონი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ერქვანია, მ. ნაკაიძე; მ. მაისურაძე;
დამკვირვებელი: ს. კვარაცხელია

თბილისი. 12 აპრილი. 16 საათი. შევარდენი

**სპარტაკი — ცხინვალი**

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. ფიფია, ნ. რუსიშვილი; ვ. ელისაბედაშვილი;
დამკვირვებელი: ო. რუხაძე

ბორჯომი. 12 აპრილი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: ა. ორდინიძე; ლ. თოდრია, მ. ურუშაძე; ჯ. ბუიშვილი;
დამკვირვებელი: ი. ლორთქიფანიძე

ბოლნისი. 12 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — დინამო**

მსაჯები: დ. სანაია; ზ. ხუციშვილი, გ. ცირდავა; ა. ნონიკაშვილი;
დამკვირვებელი: ს. კუტივაძე

## დისკვალიფიცირებულნი

„ვიტ ჯორჯია“ — ალექსანდრე კვახაძე

„სიონი“ — არჩილ ალავიძე

„ამერი“ — ამირან კედელაშვილი

„ბათუმი“ — მამუკა ლომიძე

„დინამო“ — ლევან აკობია, ჯაბა დვალი

„ცხინვალი“ — რევაზ ხაჭაპურიძე, გიორგი ჩიტაია

„ბორჯომი“ — ლევან მერებაშვილი

„ლოკომოტივი“ — გიორგი ჩივაძე, ლევან ობგაიძე, მიხეილ ქლენტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 23 | 17 | 4 | 2 | 46:13 | 55 |
| სიონი | 23 | 17 | 4 | 2 | 41:15 | 55 |
| დინამო | 23 | 14 | 4 | 5 | 39:17 | 46 |
| ზესტაფონი | 23 | 13 | 6 | 4 | 31:17 | 45 |
| ბორჯომი | 23 | 14 | 2 | 7 | 40:20 | 44 |
| ბათუმი | 23 | 13 | 5 | 5 | 30:16 | 44 |
| ამერი | 23 | 13 | 2 | 8 | 28:18 | 41 |
| ლოკომოტივი | 23 | 10 | 4 | 9 | 35:31 | 34 |
| კოლხეთი | 23 | 8 | 4 | 11 | 20:24 | 28 |
| კახეთი | 23 | 8 | 2 | 13 | 24:33 | 26 |
| ტორპედო | 23 | 6 | 6 | 11 | 19:28 | 24 |
| დილა | 23 | 6 | 4 | 13 | 24:32 | 22 |
| ცხინვალი | 23 | 6 | 3 | 14 | 20:43 | 21 |
| სოხუმი | 23 | 4 | 3 | 16 | 22:50 | 15 |
| თბილისი | 23 | 3 | 2 | 18 | 14:41 | 11 |
| სპარტაკი | 23 | 2 | 5 | 16 | 5:40 | 11 |

# ჟოზე მაურინიუ მკვდარ გედსა და სეზონურ აბონემენტს შორის

## ფეხბურთი არაფერია სიცოცხლესთან შედარებით, 270 მილიონი არაფერია ხალხის სიხარულთან შედარებით



**პასუხი** თავიდან მოკლე იყო: არა. საკონფერენციო დარბაზში კი სიჩუმე ჩამოწვა. შეკითხვა ასე ჟღერდა: როცა ამ ქვეყნიდან სხვაგან გადახვალთ, გინდათ თუ არა, რომ თქვან, ჟოზე მაურინიუ საუცხოო ფეხბურთს ათამაშებდა თავის გუნდს და ის არასოდეს დაგვავიწყდება? პასუხი კი უარყოფითი იყო, თუმცა ძნელად დასაჯერებელი: „ჩემთვის ეს არაა მნიშვნელოვანი, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ როცა აქედან წავალ, არ თქვათ, ის ამპარტავანი კაცი იყოო. ვიცი, რომ ამას ვერასოდეს იტყვით. მე, ჟოზე მაურინიუ, ჩემს ბოლო წუთამდე ასეთი ვიქნები იმიტომ, რომ პიროვნება ვარ და ვერაფერი შემცვლის. ამიტომ ყურადღებას ვერ მივაქცევ იმას, რას იტყვიან ჩემი ფეხბურთის გამო."

ინგლისში უცუდესად მიჩნეული „მილუოლის" გულშემატკივრები მღერიან: „ყველას ვძულვართ, ჩვენ კი გვკიდია..." ჟოზესაც რაღაც ამგვარი გამოუვიდა. მაურინიუს ისედაც ყველაფერი სახეზე აწერია: სიხარული, დარდი, მრისხანება, ბედნიერება. რა თქმა უნდა, მას საშინლად აინტერესებს, რას ფიქრობენ და ამბობენ მისი გუნდის შესახებ. კიდევ უფრო მეტად აინტერესებს ეს რომან აბრამოვიჩს. პრობლემა უფრო ისაა, რომ ხალხი მათ განცდებს ჰაიჰარად უყურებს. გასული კვირის ბოლოს მაურინიუმ პრესკონფერენცია მოაწყო და ეს პასუხიც იქ გაისმა. წინა პრესკონფერენცია მას მაშინ ჰქონდა, როცა „ჩელსი" 17 ქულით უსწრებდა მდევარს. ახლა სხვაობა 7 ქულაა. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ ის საერთოდაც გაურბოდა მედიას. ამბობენ, რომ მაურინიუს ძალიან გაუფუჭდა ურთიერთობა „ჩელსის" ბოს პიტერ კინიონთან, რაც საბოლოოდ მის წასვლას გამოიწვევს.

ახლა საქმე ისეა, რომ „ჩელსი", იმის მიუხედავად, რომ „ვესტ ჰემს" მაგრად მოუგო, ვერ თამაშობს. მისი მეტოქეები — „მანჩესტერი" და „არსენალი" კი ისეთ ფორმაში არიან და ისეთ სანახაობას უჩვენებენ თავიანთ გულშემატკივრებს, რომ „სტემფორდ ბრიჯზე" 1:0-იან მოგებას შეჩვეული, სეზონური აბონემენტების მფლობელები ვერც კი იოცნებებენ. სინამდვილეც სწორედ ესაა. ფეხბურთი თუ ხალხის სიხარულია, ხალხის სიხარული სხვაგან არის და არა „სტემფორდ ბრიჯზე".

„არსენალისა" და „მანჩესტერისგან" განსხვავებით „ჩელსის" არ ჰყავს თავისი ახალგაზრდები, არ ჰყავს ის, ვინც ხვალ მოვა. ვენგერი და ფერგიუსონი გადამწყვეტ მომენტში სწორედ ახალგაზრდებს დაეყრდნენ და მათაც დიდ ფეხბურთსა და დიდ სანახაობაში შეაბიჯეს. მაურინიუს 270 მილიონ გირვანქად ღირებული გუნდი კი თუმცა ძალიან მაგარი ფეხბურთელებითაა სავსე, თავს ვერაფრით შეგაყვარებს. მაურინიუ ახლა სხვა რამეს ახსენებს ხალხს. ის ამბობს, რომ მისთვის ფეხბურთელების ფასს საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა: „მე, „პორტუთი" მოვიგე ჩემპიონთა ლიგა. დიდი რამე, თუ „არსენალი" მიდის ჩემპიონთა თასისკენ. დაცვა ავიღოთ: აი, მაგათი მცველების ფასი: ლემანი 1 მილიონი ევრო, ებუ 2 მილიონი, სენდეროსი 2, ფლამინი უფასო, ტურე 1 მილიონი. ჯამში ექვსი მილიონია. ახლა ჩემი „პორტუს" ფასები ნახეთ: ვიტორ ბაია — „პორტუს" აღზრდილი და უფასო. პაულუ ფერეირა ერთი მილიონი, მეორე დივიზიონიდან მოვიყვანე. ჟორჟე კოშტა კლუბის აღზრდილი, უფასო. რიკარდუ კარვალიუ უფასო, ნუნუ ვალენტე „ლეირიადან" წამომყვა ნახევარ მილიონ ევროდ. ჩემპიონთა თასი მოვიგე მილიონ ნახევარ ევროდ. თქვენ კი მეუბნებით, რომ აქ ბევრი ფული იხარჯება. აქ ასეა, იქ ისე იყო. მე რა შუაში ვარ? საერთოდაც, მე მაშინ უფრო ვნერვიულობ, როცა ვფიქრობ, რომ წაგების საშიშროება მეტია. როცა თამაშს თანაბარ ბრძოლაში ავებ, ვერ ინერვიულებ — ეს შეფასება ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნას ეხება. მესამე წელიწადია, ჩემი გუნდი ჩემპიონი ხდება, ადრე „პორტუ", შარშან კი „ჩელსი". ვერ ვხვდები, რას ითხოვენ ჩემგან. რაღაცას ვიტყვი და ათას კუდს აბამენ".

შეკითხვას პიტერ კინიონთან ურთიერთობის შესახებ მაურინიუმ ასე უპასუხა: „კინიონი? ახლა უკეთესი ურთიერთობა მაქვს, ვიდრე მაშინ, „ჩელსიში" რომ მოვედი. ეს ურთიქრთობა ამაღლებულია პროფესიულადაც და პირადულადაც. თუ მასთან ურთიერთობა არ მექნა, აქ როგორღა ვიმუშავებ?"

კინიონი გირჩევთ, რომელი ფეხურთელი უნდა იყიდოთ? ამ კითხვას მაურინიუმ არ უპასუხა, რადგან საქმეში მისი პრესმდივანი ჩაერია: „ჟოზეს რისი თქმაც უნდოდა, ის უკვე თქვა". პრესკონფერენცია კი შეწყდა. სხვა ინტერვიუში მაურინიუმ განაცხადა, „ჩელსის" ჩემპიონობასა და ზოგადად ფეხბურთზე მეტად ქაიმის გრიპზე ვღელავ, რადგან ფეხბურთი არაფერია სიცოცხლესთან შედარებით და შოტლანდიაში ნაპოვნი მკვდარი გედის ძალიანაც მეშინიაო.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*

# ეს უკვე ავადმყოფობაა

## ინგლისური ფეხბურთი ტოტალიზატორის ყბაში



**ინგლისის** ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი გარეთ საუთგეიტი სვენ გორან ერიკსონს აფრთხილებს, რომ ტოტალიზატორში მოთამაშე ფეხბურთელთა საქმეს ხელი ამთავითვე და ძალიან მკაცრად უნდა მოჰკიდოს. შეგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში მონიძლავე ფეხბურთელების თემა ინგლისში ფრიად პოპულარული გახდა და ისიც კი დაიწერა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების 20 წლის ვარსკვლავს უეინ რუნის უკვე 700 ათასი გირვანქა გადაუყრია წყალში.

„ნაკრების ხელმძღვანელები ახლავე უნდა ჩაერიონ საქმეში და მოვლენათა სადავეები ხელთ იგდონ, რადგან, თუ ეს სადავეები დაუსხლტებათ, მერე სიტუაციის გამოსწორება გამორიცხულია — თქვა საუთგეიტმა და დასძინა — გუნდებში ფეხბურთელები ყოველთვის თამაშობენ ბანქოს ან რაიმე თამაშს, ხშირად ნიძლავდებიან და ამაში მეც მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ის თანხები, რომლებსაც ახლა ასახელებენ, გართობაზე აღარ მიუთითებს. ეს უკვე ავადმყოფობას ემსგავსება და ყველა, ვისაც კლუბებთან ან ნაკრებთან რაიმე შეხება აქვს, ვალდებულია, ახალგაზრდების ქცევას ყურადღება მიაქციოს".

**ბაკუნა ძიდია**




ალენ კაიზაკი პსჟ-ს მაისურით

# გაყიდულია! თავი კაიზაკია

**დიდი ხანია,** ცნობილი ფრანგული ტელეარხი „კანალ პლუსი", რომელიც აქამდე პსჟ-ს მფლობელი გახლდათ, კლუბის შესაძლო გაყიდვაზე ლაპარაკობდა და საბოლოოდ კიდეც გაყიდა. დედაქალაქელებს ამიერიდან სამი კომპანიისგან შემდგარი ახალი მფლობელი ჰყავთ, რომლებიც გუნდში გარკვეული რეორგანიზაციის ჩატარებას აპირებენ და ქომაგებს წარმატებებს ჰპირდებიან.

„ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, დავთანხმებულიყავით ჩვენი აზრით საუკეთესო ვარიანტს, რომელიც ფინანსური და სპორტული თვალსაზრისით იძლევა იმის გარანტიას, რომ პსჟ-ს კარგი პირობები შეექმნება" — ნათქვამია „კანალ პლუსის" ოფიციალურ განცხადებაში.

რა თანხად გაიყიდა პსჟ, ჯერჯერობით უცნობია. სამაგიეროდ უკვე ცნობილია, რომ კლუბის ახალი მფლობელები — „კოლინი კაპიტალი", „ბატლერ კაპიტალ პარტნერსი" და „მორგან სტენლი" შეთანხმდნენ თუ ვინ იქნება გუნდის ახალი მმართველი. ეს გახლავთ 64 წლის ბიზნესმენი ალენ კაიზაკი.

**კოკი კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

D ჯგუფი
მექსიკა, ირანი
ანგოლა, პორტუგალია

# ალი მეტალურგი და ალი მარადონა



ბრანკო ივანოვიჩი

**ოთხი წლის** წინ მსოფლიოს ჩემპიონატი აზიაში იყო, მაგრამ ირანი ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა, შესარჩევი ვერ დაძლია. ახლა, მუნდიალი ევროპაშია და ირანიც იქაა.

არადა, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ირანელებს ყველაფერი ია-ვარდით როდი ჰქონდათ მოფენილი. მათ 2004 წლის ივნისში, შინ, 0:1 წააგეს იორდანიასთან და შემდეგ ეტაპზე გასვლა ეჭვის ქვეშ დააყენეს, მაგრამ იმავ ზაფხულზე აზიის თასის ნახევარფინალში გასვლამ, განსაკუთრებით კი მეოთხედფინალში კორეელების 4:3 ძლევამ ირანელებს საკუთარი თავის რწმენა აღუდგინა და დაამარცხეს კიდეც საპასუხო შეხვედრაში იორდანიელები 2:0.

ამ შეხვედრაში, რომელიც ხორვატი მწვრთნელის ბრანკო ივანკოვიჩის შეგირდებმა ჩინებულად ითამაშეს, გუნდს კარგა ხნის არყოფნის შემდეგ დაუბრუნდა გერმანული ბუნდესლიგაში გამობრძმედილი ვარსკვლავი ვაჰიდ ჰაშემიანი, რომელმაც მეორე შესარჩევ ეტაპზე გადამწყვეტი როლი ითამაშა. კერძოდ, ბაჰრეინთან 0:0-ის შემდეგ ირანმა სწორედ ჰაშემიანის ორი გოლით დაამარცხა იაპონია 2:1. ამ ჯგუფში გამოდიოდა ჩრდილოეთ კორეაც. საბოლოოდ, ირანელებმა ოთხი მოგებით, ერთი ფრითა და ერთი მარცხით (ტოკიოში, იაპონიასთან), მეორე ადგილი მოიპოვეს და ჰაშემიანისთვის ნაცნობი გერმანიის სტადიონებზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

ახლა, ზოგი რამ ისტორიიდან: აზიის სამგზის ჩემპიონი ირანი, მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად 1978 წელს მოხვდა. 1998 წელს კი ირანელებმა მთელ მსოფლიოს აშკარად დაანახეს, რომ შემტევი ფეხბურთის მიმდევრები არიან — შესარჩევის პლეი-ოფში სტუმრად გატანილი გოლების წესით დაძლიეს ავსტრალიის ბარიერი.

1998 წლის მუნდიალზე, ირანელებმა პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს — აშშ-ს აჯობეს 2:1, თუმცა 2002-ში მსოფლიოს უძლიერესთა შეჯიბრებაში ვეღარ მოხვდნენ, რადგან პლეი-ოფში ირლანდიამ დაამარცხა.

* * *

*მწვრთნელი:* ბრანკო ივანკოვიჩი ირანელთა წინა მწვრთნელის, მიროსლავ ბლაჟევიჩის ასისტენტი გახლდათ და თანამდებობა შეფის წასვლის შემდეგ ჩაიბარა. ივანკოვიჩი ფიზიკურ მომზადებაში სამეცნიერო ხარისხს ფლობს. 1991 წლიდან 1997 წლამდე ის ხორვატიის სხვადასხვა კლუბებს ედგა სათავეში, 1998 წლის მუნდიალზე კი უკვე ბლაჟევიჩს ეხმარებოდა. როგორც გახსოვთ, ხორვატებმა იმ ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოიპოვეს.

1999-2000 წლებში ხორვატმა მწვრთნელმა ბუნდესლიგაში მოსინჯა ძალა, „ჰანოვერს" წარუძღვა, შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც ისევ ნაკრების შეფის, ამჯერად მირკო ჯოჟიჩის ასისტენტად დადგა, ბოლოს კი ბლაჟევიჩის დაძახილზე ირანს მიაშურა.

* * *

*კაპიტანი:* ალი დაეი 1969 წლის 21 მარტს არის დაბადებული. თამაშობს ირანულ კლუბ „საბა ბატერიში" და მსოფლიოში ყველაზე მეტი სანაკრებო გოლი აქვს გატანილი.

დაეის დამთავრებული აქვს შარიფის უნივერსიტეტის მეტალურგიული ფაკულტეტი. კარიერის დასაწყისში იაპონურ ჯეი ლიგაში იწვევდნენ და თავადაც არ იყო უარზე, მაგრამ ჯარმა უწია და გეგმა ჩაეშალა. ჯარის შემდეგ, გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულმა ფორვარდმა რამდენიმე ირანული კლუბი მოიარა და ბუნდესლიგაში, კერძოდ „არმინიაში" გადაბარგდა, საიდანაც 4 მილიონ დოიჩმარკად „ბაიერნს" მიაშურა. ეს თანხა აზიელი ფეხბურთელისთვის სარეკორდო გახლდათ. „ბაიერნიდან" იგი სამი წლის შემდეგ „ჰერტაში" გადავიდა.

დაეის გერმანიაში იცნობდნენ, როგორც ნამდვილ ჯენტლმენსა და „ოპელის" სარეკლამო სახეს.

* * *

*ახლანდელი ვარსკვლავი:* ალი ქარიმი, სრულად მას ალი ქარიმი ფაშაქი ჰქვია და 28 წლისაა. 2004 წელს ირანის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. თამაშობს „ბაიერნში".

ქარიმმა კარიერა „პერსეპოლისში" დაიწყო და მალე მადრიდის „ატლეტიკოს" შეუთვალა ტრანსფერზე უარი. იმხანად, ირანთან ახლოს ყოფნის გამო მან ევროპულ კლუბებს საემიროში გადასვლა ამჯობინა და მაშინვე გაითქვა სახელი, როგორც დრიბლიორმა. ამიტომაც შეარქვეს ირანელი მარადონა.

2005 წლის მაისში კი „ბაიერნის" ინტერნეტ საიტზე გამოჩნდა ცნობა, რომ ბავარიელები ქარიმის ყიდულობენ. ამ ცნობამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ ირანელი „ბაიერნს" ვერ აუბამდა მხარს, მაგრამ მაგათი მას ბუნდესლიგის მეორე ტურშივე ენდო და ირანელმაც ერთი თავად გაიტანა და ერთიც როი მაკაის გაატანინა. მას მერე ალი ქარიმი „ბაიერნის" წელშიგამართული წევრია და შესაძლოა მუდმივად ძირითადში ვერ ხვდება, მაგრამ უიმედო დუბლიორიც არ არის. ალი ქარიმი ორი შვილის მამაა.

* * *

*ლეგენდა:* ასეთი ალბათ ორია. ჰამიდ რეზა ესტილი და მეჰდი მაჰდავიკია. პირველი 1967 წელსაა დაბადებული, მეორე 1977 წელს. რატომ არიან ლეგენდარულები? იმიტომ, რომ მათ 1998 წლის მუნდიალზე ამერიკელებს გაუტანეს გოლები. ამაში რა არის საგანგებო? დაინტერესდით ამერიკისა და ირანის პოლიტიკური ინტერესებითა და ურთიერთდამოკიდებულებით.

* * *

\+ ირანელთა ძლიერი მხარეა თავდასხმა.

* * *

– სუსტი მხარეა გამოუცდელობა.

* * *

*აზრი:* „ირან დეილის" კორესპონდენტი ბეჰნამ სარემი: „თუ გუნდში კარგი მორალური ატმოსფერო და საკუთარი თავის რწმენა იქნა, ირანს მეორე ეტაპზე გასვლა შეუძლია".



ჰამიდ რეზა ესტილი





მეჰდი მაჰდავიკია

## ირანის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 11 ივნისი | მექსიკა — ირანი | ნიურნბერგი |
| 17 ივნისი | პორტუგალია — ირანი | ფრანკფურტი |
| 21 ივნისი | ირანი — ანგოლა | ლაიპციგი |

## ირანის გზა ფინალური ეტაპისაკენ

I საკვალიფიკაციო წრე. I ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 18.02.2004 | ირანი — ყატარი | 3:1 |
| 31.03.2004 | ლაოსი — ირანი | 0:7 |
| 09.06.2004 | ირანი — იორდანია | 0:1 |
| 08.09.2004 | იორდანია — ირანი | 0:2 |
| 13.10.2004 | ყატარი — ირანი | 2:3 |
| 17.11.2004 | ირანი — ლაოსი | 7:0 |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 6 | 5 | 0 | 1 | 22:4 | 15 |
| იორდანია | 6 | 4 | 0 | 2 | 10:6 | 12 |
| ყატარი | 6 | 3 | 0 | 3 | 16:8 | 9 |
| ლაოსი | 6 | 0 | 0 | 6 | 3:33 | 0 |

II საკვალიფიკაციო წრე. B ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 09.02.2005 | ბაჰრეინი — ირანი | 0:0 |
| 25.03.2005 | ირანი — იაპონია | 2:1 |
| 30.03.2005 | ჩრდილოეთ კორეა — ირანი | 0:2 |
| 03.06.2005 | ირანი — ჩრდილოეთ კორეა | 1:0 |
| 08.06.2005 | ირანი — ბაჰრეინი | 1:0 |
| 17.08.2005 | იაპონია — ირანი | 2:1 |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 6 | 5 | 0 | 1 | 9:4 | 15 |
| ირანი | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 13 |
| ბაჰრეინი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:7 | 4 |
| ჩრდ. კორეა | 6 | 1 | 0 | 5 | 5:11 | 3 |

# გუსი, გუსი, და, და, და

## აბრამოვიჩმა ჰიდინკი რუსეთში გადააფრინა







ვიტალი მუტკო

**ჯერ** ბეჭედდასმული არაა, მაგრამ ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რუსეთის ეროვნულ გუნდს 59 წლის ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი ჩაიბარებს.

ზემოთ რაც ვთქვით, არახალია, მაგრამ, მოდით, ახლა ეს ყველაფერი ფაქტებით შევამდიდროთ, იმ ფაქტებით, რაზეც თავად ჰიდინკმა ილაპარაკა ჰოლანდიის ტელევიზიასთან ამ რამდენიმე დღის წინ, კერძოდ კი, „პსვ ეინდჰოვენის“ ზედიზედ მესამედ გაჩემპიონებიდან მეორე დღეს.

აი, რა თქვა სტუდიაში მიწვეულმა ჰიდინკმა: „რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტთან წვრილმანი დეტალებია შესათანხმებელი. ვიტალი მუტკო ორწლიან კონტრაქტს მთავაზობს, წარმატების შემთხვევაში კიდევ ორი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით, რაც სრულიად მაკმაყოფილებს“.

უკვე გითხარით, რომ წლეულს ჰიდინკმა ერთი ტიტული უკვე მოიგო, პსვ გააჩემპიონა, ახლა კი მეორე ტიტულისკენ „იქაჩება“ — 7 მაისს ეინდჰოვენელები ქვეყნის თასის ფინალში ამსტერდამის „აიაქსს“ შეხვდებიან.

„ცხადია, არც თასის მოგებაზე ვიტყოდი უარს, თანაც პრინციპულ მეტოქესთან. მერე კი მთლიანად ავსტრალიის ნაკრებზე გადავერთვები“.

ჰიდინკი, გეცოდინებათ, პარალელურად ავსტრალიის ეროვნულ გუნდს თავკაცობს და საკმაოდ წარმატებითაც. სწორედ ჰიდინკის ხელში მიაღწიეს ავსტრალიელებმა საწადელს — 30-წლიანი პაუზის შემდეგ კვლავაც ითამაშებენ მუნდიალზე.

„საერთოდ, ჩემთვის ნაკრების გაწვრთნა მუდამ მნიშვნელოვანი იყო, ძალიან მომწონს ეს საქმე. როცა ამა თუ იმ ქვეყნის ნაკრებს თავკაცობ, გუნდსაც შენ გემოზე აწყობ, შენ პოლიტიკას ატარებ. ანუ, ამით იმის თქმა მსურს, რომ არჩევანში თავისუფალი ხარ, შენი შეხედულებით იწვევ ფეხბურთელებს და შენს საქმეშიც ცხვირის ჩაყოფის უფლებას არავის აძლევ. ასე ვმუშაობდი ჰოლანდიის ნაკრებშიც, სამხრეთ კორეაშიც და ასე ვარ ავსტრალიაშიც. რაც ყველაზე მთავარია, საბედნიეროდ, ამ ყოველივეს შედეგი მოჰქონდა“.

შედეგი მართლაც იყო: 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდია ნახევარფინალში გაიყვანა, ოთხი წლის მერე ყველასათვის უცნობ სამხრეთ კორეასაც იგივე „დამართა“. აღარაფერს ვამბობთ „პსვ ეინდჰოვენის“ მრავალგზის ჩემპიონობაზე და ამ კლუბის მიერ 1988 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში ლისაბონის „ბენფიკას“ ძლევაზე. წინასწარ არავინ იცის, რას იზამს ავსტრალია გერმანიის მინდვრებზე, მაგრამ ის კი ნაღდია, „კენგურუები“ ბევრისთვის მართლა კერკეტი კაკლები იქნებიან.

...ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ ხომ გუს ჰიდინკისა და რუსეთის ნაკრების სამომავლო ურთიერთობით დავიწყეთ, ჰოდა, რითაც დავიწყეთ, იმითაც დავამთავროთ. ცხადია, გაინტერესებთ, საიდან გაჩნდა იდეა, ჰიდინკი რუსთა ნაკრების მესაჭე გამხდარიყო. რომან არკადიევიჩისგან, დიახ, „ჩელსის“ მეპატრონე აბრამოვიჩისგან, რომელიც თავისი გუნდის საკეთილდღეოდ არანაირ თანხას არ იშურებს.

„აბრამოვიჩი რუსია და, ცხადია, არც გამკვირვებია, თავისი ქვეყნის ნაკრებზე გული რომ შესტკივა. სწორედ აბრამოვიჩის ინიციატივით ჩავედი ლონდონში, სადაც მუტკოსაც შევხვდი. „ჩელსის“ პატრონმა არ დამალა და პირდაპირ მითხრა, რუსეთის ეროვნული გუნდის სავალალო მდგომარეობა ძალიან მაღელვებს, მწვრთნელად თქვენზე უკეთესი კანდიდატურა არ მეგულება და გთხოვთ, ეგებ ჩვენი ნაკრების გაწვრთნაზე დაგვთანხმდეთო. ფაქტობრივად, იგივე მთხოვა მუტკომაც“ — გაამხილა ჰიდინკმა.

ისეც შეთანხმებულია, რომ ჰოლანდიელი რუსეთის ნაკრების მწვრთნელობის შემთხვევაში მოსკოვში არ იცხოვრებს და რუსეთის დედაქალაქში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავა, როცა ამას დრო და ვითარება მოითხოვს.

„რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობასთან ამაზეც შევთანხმდი. რუსეთში უკვე ნამყოფი ვარ და იქაური ვითარებაც შესწავლილი მაქვს, რუს ფეხბურთელთა შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ და იქ არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდაა. მოკლედ, ხელისშემშლელ ფაქტორებს ვერ ვხედავ“.

ხოლო ვინ იქნებიან მისი თანაშემწეები, მას უკვე გარკვეული აქვს — ძირითადად, ჰოლანდიელები, კერძოდ, ერთ-ერთი პიმ ვერბეკი, კაცი, რომელიც ჰიდინკს სამხრეთ კორეაში მუშაობისას ეხმარებოდა. თუმცა ჰოლანდიელთა ნაკრებში დასაქმება იმას არ ნიშნავს, რუს მწვრთნელებს იგნორირებას ვუკეთებდეო, რუსი მწვრთნელები ხომ შიდასამზარეულოს ჩემზე უკეთ იცნობენო, თქვა ჰიდინკმა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# მალელი მანჩესტერს ემალება

**მადრიდის** „რეალი“ ფრანგული „ლიონის“ ფეხბურთელის, მაჰამადუ დიარას ყიდვას აპირებს, მაგრამ თუ სამეფო კლუბის წარმომადგენლები „ლიონს“ ამ კვირის ბოლომდე არ დაუკავშირდნენ და 30 მილიონი ევრო არ შესთავაზეს, დიარას მადრიდში გადაბარგება გაძნელდება. საქმე ის გახლავთ, რომ აფრიკელი მოთამაშის აგენტებმა „რეალს“ ფრანგულ კლუბთან დასაკავშირებლად გარკვეული დრო მისცეს და ამ შეთანხმებას ვადა სწორედ კვირის ბოლს გასდის. თუმცა, ესპანური „მარკას“ ცნობით, ფერნანდო მარტინის გუნდი მალელ ფეხბურთელში მთლად 30 მილიონს ვერ გაიმეტებს.



„სანტიაგო ბერნაბეუს“ გრანდს სატრანსფერო საქმეში მოქიშპეც ღირსეული ჰყავს — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ლიონთან“ წინასწარი ხელშეკრულება უკვე გააფორმა და თუ დიარას დღეს ინგლისში ვერ ვხედავთ, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ თავად აფრიკელს ძალიან უნდა მადრიდის „რეალში“ თამაში.

**ლადო ხომერიკი**

# მარიანის დიაგნოზი: ტოტი ბურთს უახლოვდება

**ფრანჩესკო ტოტის** სარეაბილიტაციო პერიოდი კარგად მოდის. „რომას“ კაპიტანს ფეხი საგრძნობლად უკეთ აქვს და ალბათ მინდორს იმაზე გაცილებით ადრე დაუბრუნდება, ვიდრე მოსალოდნელი იყო.



„ჯერ ვერ ვიტყვით ზუსტად როდის დაუბრუნდება ფრანჩესკო მინდორს, თუმცა უკვე ისეთი პროგრესი შეინიშნება, რომელსაც ამ დროისთვის ნამდვილად არ ველოდით. სავარაუდოდ ვარჯიშს 20 აპრილს დაიწყებს, რათა მსოფლიოს ჩემპიონატს სრულად გამოკეთებული შეხვდეს“ — თქვა ტოტის ექიმმა პიერპაოლო მარიანიმ.

სავარაუდოდ, ტოტი, სერია A-ს ბოლო ტურში ითამაშებს და იტალიის თასის ფინალშიც, თუ „რომა“ იქ მოხვდება. 29 წლის პლეიმეიკერის ამბავი ძალიან გაუხარდებოდა იტალიის ნაკრების თავკაც მარჩელო ლიპის, რომელიც მასზე დიდ იმედს ამყარებს. გამოცდილმა ტაქტიკოსმა, უკვე განაცხადა, თუ ფრანჩესკო მუნდიალამდე მოშუშდება, გერმანიაში აუცილებლად წავიყვანოო. მოგეხსენებათ, მან 23 კაციანი განაცხადი არაუგვიანეს 15 მაისისა უნდა წარადგინოს.

**გიორგი ძაძამიძე**

## ფეხბურთის რუკასთან

**ესპანური** „რეალის“ ფორვარდი რონალდო სამი კვირა ვეღარ ითამაშებს. მას გასულ უქმეებზე, „სოსიედადთან“ მატჩში, მარჯვენა ფეხის კუნთი დაეჭიმა. შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში ბრაზილიელმა თავისი მე-100 პრიმერადივიზიონური გოლი გაიტანა.

**იტალიური** „ლივორნოს“ პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ ქომაგებს სთხოვა, გუნდის ბოლოდროინდელი ცუდი თამაშის გამო ტოსკანელთა მხცოვან მწვრთნელ კარლო მაცონეს ნუ დაადანაშაულებენ. „მაცონე ყველაფერს სწორად აკეთებს. დამნაშავე მე ვარ და პასუხიც მე მომთხოვეთ. უკან დაბრუნებას აზრი აღარ აქვს, მაგრამ არ მინდოდა, რომ რობერტო დონადონი წასულიყო და იგი მაინც გადავაყენე. კრიზისი გარკვეულწილად ფეხბურთელების უნიათო თამაშმაც გამოიწვია, მაგრამ მთავარი შეცდომა მე დავუშვი“ — თქვა სპინელიმ.

**ინგლისური** „ბლექბერნის“ იტალიელი მცველი ლორენცო ამორუზუ 60 გირვანქით დააჯარიმეს. 34 წლის ვეტერანი თავისი ავტომობილით ქალაქის ცენტრში გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, რაც პოლიციას არ გამორჩენია. ამორუზოს განმარტებით, მას სადღაც აგვიანდებოდა და სიჩქარეს ცოტათი ამიტომ გადააჭარბა.

**ესპანური** „დეპორტივოს“ თავდამსხმელი დიეგო ტრისტანი გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. ამბობენ, მას ბევრი მსურველი ჰყავსო, მათ შორის „ინტერი“, „არსენალი“, „ლივერპული“ და „ვალენსია“. „მწვრთნელ ხოაკინ კაპაროსისგან მხარდაჭერას ვერ ვგრძნობ. საკმარისია რამდენიმე მატჩში ზედიზედ გავიტანო და იგი მაინც სათადარიგოთა სკამზე მსვამს. „დეპორტივოსთან“ კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ თუ გუნდს არ ვჭირდები, წავალ“ — აღნიშნა ტრისტანმა.

**გერმანული** „ლევერკუზენის“ ფორვარდ დიმიტარ ბერბატოვს მრავალი კლუბი უტრიალებს, მათ შორის „ტოტენჰემი“, „არსენალი“ და „ვალენსია“. თავად ჩინებულ ფორმაში მყოფმა ბულგარელმა აღნიშნა, რომ ესპანეთში თამაშს ამჯობინებდა. ამბობენ, „ფარმაცევტები“ მასში სულ მცირე, 15 მილიონ ევროს მოითხოვენო.

**ბრაზილიური** „ამერიკას“ მეკარემ ჟულიო ბერტაგონიმ იტალიური „რომა“ დააინტერესა. 22 წლის გოლკიპერი დედაქალაქელებთან ერთად რამდენიმე დღე ივარჯიშებს და თუ „გლადიატორებს“ თავს მოაწონებს, მასთან კონტრაქტი გაფორმდება.

# ბენიტესმა რაული ჩაიფიქრა





**რაფა ბენიტესის** „ლივერპულის“ და „რეალის“ კაპიტან რაულის გზები შეიძლება მომავალ სეზონში გადაიკვეთოს. ბენიტესმა „ენფილდზე“ ესპანელი ლეგიონერების მთელი ჯარი მიიყვანა — ლუის გარსია, რეინა, ხაბი ალონსო, ხოსემი, ნუნიესი და ფერნანდო მორიენტესი. როგორც ინგლისურ და ესპანურ გაზეთებში აცხადებენ, რაფას გადაუწყვეტია, თვით რაულ გონსალეს ბლანკოზე მიიტანოს სატრანსფერო იერიში.

„რეალის“ დღევანდელი თავკაცები ნელ-ნელა ხვდებიან, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რაულის ეპოქა ბოლოს და ბოლოს უნდა დამთავრდეს. გუნდში დიდი კაპიტნის ყოფნა, ფეხბურთელისა, რომელმაც ალფრედო დი სტეფანოს წასვლის შემდეგ სამეფო გუნდს ყველაზე ბრწყინვალე პერიოდი აჩუქა, პრეზიდენტ მარტინის მიერ წამოწყებულ „ტოტალური განახლების“ იდეას ხელს უშლის.

აქამდე „ბერნაბეუზე“ რევოლუციური ცვლილებები მხოლოდ ნაკლებადმნიშვნელოვან ფეხბურთელებს შეეხო — ფიგუს გარდა „რეალი“ არც ერთ „გალაქტიკოსს“ არ დაუტოვებია. „ლივერპულის“ ინტერესებს თუ გავითვალისწინებთ, მადრიდიდან წამსვლელი მომდევნო „ელ გალაქტიკო“ წესით, რაული უნდა იყოს, თუმცა... კასტილიური გრანდის დიდ შვილიანს „რეალთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და „სამეფო ხაზინიდან“ წლიურ ანაზღაურებად 7 მილიონ ევროს იღებს. ასეთი თანხის რომელიმე ფეხბურთელისთვის გადახდა, მსოფლიოში ცოტა კლუბს თუ შეუძლია და ისიც ძნელად წარმოსადგენია, მოთამაშემ თავად თქვას უარი შვიდმილიონიან ხელფასზე.

„ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, რაულმა „რეალის“ შიდა ინტრიგებზე და ფარულ ტრანსფერებზე ბევრი არაფერი იცის — კაპიტანი ახალი დირექტორატის საქმეებში ან არ ან ვერ ერევა. სამეფო გუნდში კი მშვენივრად უწყიან, გონსალეს ბლანკოს გაშვება რამხელა სიძნელეებთანაა დაკავშირებული — ჯერ ერთი, რომ ლეგენდარული კაპიტნის ასე უეცრად დათხოვნა ინჩასებს გადარევს და მეორეც, რაულს სატრანსფერო ბაზარზე ის ფასი აღარ ექნება, რაც თუნდაც ორი წლის წინ ჰქონდა. „ბერნაბეუს“ მეშვიდე ნომრის მთხოვნელი კლუბებიც თითზე ჩამოსათვლელია. უფრო სწორი იქნება, ვთქვათ — გარდა „ლივერპულისა“, რაულის შეძენა სერიოზულად არავის აინტერესებს... რაფაელ ბენიტესმა კი თავის გუნდში ორი წლის განმავლობაში უამრავ ესპანელს მოუყარა თავი და, თუ ბრიტანულ და ესპანურ პრესას დავუჯერებთ, 2006-07-ის სეზონისთვის „ენფილდ როუდზე“ რაულის მიყვანასაც აპირებს. „რეალში“ ოცნებობენ, ბენიტესმა თავის სატრანსფერო სიაში რაული ჩაწეროს. სხვანაირად ფორმიდან ამოვარდნილი კაპიტნის თავიდან მოცილება ძალიან გაუჭირდებათ — ვკითხულობთ გუშინდელ „მუნდო დეპორტივოში“.

2005-06-ის სეზონის ბოლოს რაულს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უკვე 12 ელიტარული სეზონი დაუგროვდება. კაპიტანმა ამ ხნის განმავლობაში „რეალში“ თითქმის ყველაფერი მოიგო, თუმცა ისიც ცხადია, რომ გონსალეს ბლანკო ბოლო ორი სეზონია, უწინდელის აჩრდილად იქცა. ახლა ძნელია რაულის დასუსტების მიზეზებზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც გავიხსენოთ — ძველ კეთილ დროს, ანუ მაშინ, როცა „რეალის“ მამები „გალაქტიკურ პოლიტიკას“ არ მისდევნენ, „ბერნაბეუს“ ჭეშმარიტი ლიდერი ყმაწვილი რაული იყო და ჯადოსნურ შვილიანს სამეფო გუნდის ხსნა, ერთი შეხედვით გამოუვალ სიტუაციებშიც შეეძლო. მერე ხანი გავიდა, ექსპრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა გუნდში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები მიიყვანა და გონსალეს ბლანკომაც ნელ-ნელა დაიწყო ლიდერის ფუნქციების დათმობა. რაული უკვე აღარ გახლდათ „რეალის“ მეფე, მოედანზე მისი საქმე უცხოელებმა გადაინაწილეს...

თანამედროვე „რეალში“ კი „პოსგალაქტიკური“ პერიოდია — დღეს „ბერნაბეუზე“ ფიგუს, ზიდანისა და რონალდინიოსნაირი ვარსკვლავების მონადირებას რობინიოს, ჟულიო ბაპტისტას და ანტონიო კასანოს მსგავსი ფეხბურთელების ყოლა ურჩევნიათ. ამიტომაცაა, რაულის ინგლისში პატივით გაცილებაზე რომ ფიქრობენ. ერთ დროს მართლაც ბრწყინვალე შვიდიანის ადგილი რომელიმე ახალბედასთვის უნდა გათავისუფლდეს.

**ლადო ხომერიძი**

## ფეხბურთის რუკასთან

**ესპანური** „ბეტისის“ ბრაზილიელი ფორვარდი რიკარდო ოლივეირა სამშობლოში ბრუნდება. მას ალბათ „სან პაულუში“ გაანათხოვრებენ. 25 წლის თავდამსხმელი ახლაც მუხლს მკურნალობს და, ექიმების თქმით, მინდორს ზაფხულში დაუბრუნდება. „ჩემით „სანტოსი“ და „სან პაულუ“ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ მე უფრო მეორე ვარიანტი მომწონს. მერე კი ისევ „ბეტისში“ დაბრუნებას ვაპირებ“ — თქვა ოლივეირამ.

**გერმანული** „ჰანოვერის“ 27 წლის ნახევარმცველი კრისტოფ დაბროვსკი მომავალ სეზონში „ბოხუმში“ ითამაშებს. მან კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მოგეხსენებათ, ბოხუმელები მეორე ბუნდესლიგას ლიდერობენ და ელიტაში ბრუნდებიან.

**ინგლისური** „ევერტონის“ ვეტერან მეკარე ნაიჯელ მარტინს იმედი აქვს, რომ ამ სეზონში კიდევ ითამაშებს. 39 წლის გოლკიპერი, რომელიც სეზონის დასაწყისში ლივერპულელთა ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, ტრავმების გამო სათადარიგოთა სკამზე დასვეს. მას კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში ეწურება და მის გახანგრძლივებაზე ჯერ არაფერი ისმის.

**ჰოლანდიური** „ექსელსიორი“ უმაღლეს ლიგას უბრუნდება და მომავალი სეზონიდან მას ტონ ლოხოფი უთავკაცებს. გუნდის ამჟამინდელი მწვრთნელი მარიო ბეენი კი „ნაიმეგენს“ ჩაიბარებს.

**პორტუგალიური** „ბენფიკას“ მწვრთნელ რონალდ კუმანის აგენტმა გერიტ ლაგენდიკმა განაცხადა, რომ მის კლიენტს „ნიუკასლთან“ არანაირი წინასწარი შეთანხმება არ გაუფორმებია. „ჭორებს ნუ აჰყვებით. კუმანი ახლა მხოლოდ „ბენფიკაზე“ ფიქრობს და სეზონის წარმატებულად ჩამთავრება უნდა. მის მომავალზე მერე ვისაუბრებთ“ — აღნიშნა ლაგენდიკმა. კუმანს კი „ნიუკასლის“ გარდა პსვ-საც უკავშირებენ.

**ფრანგული** „ტულუზის“ მთავარი მწვრთნელი ერიკ მომბარტსი სეზონის ბოლოს პოსტს დატოვებს და კლუბის თავმჯდომარე გახდება. ტულუზელებს ფაქტობრივად განაღდებული აქვთ უმაღლეს ლიგაში დარჩენა და მომავალ სეზონში უფრო სერიოზული მიზნებისთვის აპირებენ ბრძოლას. როგორც გადაწყდა, ამისთვის აჯობებს, ახალი თავკაცი დანიშნონ, ხოლო მომბარტსი კარგი მმართველი იქნება.

# სუაცოს რიგი დაუდგა

**იტალიური** „კალიარის“ შემტევი ნახევარმცველი დავიდ სუაცო ევროპული გრანდების ყურადღების ცენტრშია. „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელიც ზაფხულში ტრანსფერებისთვის გვარიანი თანხის დახარჯვა აპირებს, სუაცოს ყიდვას აპირებს.

26 წლის ჰონდურასელი უკვე ორი წელია, სერია A-ში ბრწყინვალედ თამაშობს. მიმდინარე სეზონში მის ანგარიშზე 17 გოლია, „კალიარის“ კი სულ 34 აქვს გატანილი. სიცილიელები აქამდე ახერხებდნენ სუაცოს შენარჩუნებას და გასულ ზაფხულს მასთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივეს, თუმცა ახლა ნაკლებ სავარაუდოა, კალიარელებმა ფეხბურთელს უფრო სახელიანი და შეძლებული კლუბისკენ გზა ჩაუხერგონ. მით უმეტეს, თუ „კალიარი“ სერია A-დან გავარდება.

როგორც ამბობენ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ მზადაა, მასში 8 მილიონი გირვანქა გაიღოს. იგივე თანხის გადახდაზე მოსკოვის „სპარტაკიც“ ყაბულსაა. თუმცა გამორიცხული არ არის, სუაცო აპენინებზე დარჩეს. მისით სერია A-ს გუნდებიც არიან დაინტერესებულნი. მათ შორის ყველაზე აქტიური „რომაა“. შეგახსენებთ, რომ სუაცო „კალიარიში“ 1999 წლის მერე თამაშობს.

**გიორგი ქაქაბაძე**





# დიდ მწვრთნელს სენი მიეძალა

**ბელო ორიზონტეს** „ფელისიო როჩოს“ საავადმყოფოს პრესცენტრის განცხადებით, ბრაზილიის 1982-1986 წლების ნაკრების მწვრთნელის ტელე სანტანას მდგომარეობა ორშაბათს გაუარესდა. ლეგენდარული მწვრთნელი სამკურნალო დაწესებულებაში კუჭნაწლავის ინფექციის გამო მოხვდა. ექიმთა ერთკვირიანი მეცადინეობის შედეგად ავადმყოფობა თითქოს მორჯულდა, მაგრამ 74 წლის მწვრთნელის როგანიზმს ფილტვების ინფექცია დაემატა და ორშაბათს კვლავ აუწია სიცხემ.

სამი წლის წინ ტელე სანტანას მარცხენა ფეხი მოკვეთეს მუხლს ქვემოთ. ამის მიზეზი პროგრესირებადი იშემია იყო.

აქტიურ წლებში სანტანა ცნობილი გახლდათ, როგორც შემტევი ფეხბურთის დიდოსტატი მწვრთნელი. მისეულ ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ ზიკო, სოკრატესი, ფალკაო, ჟუნიორი და ედერი.

ნაკრების შემდეგ სანტანამ შექმნა „სან პაულუს“ 1990-იანი წლების ჩინებული გუნდი, რომელმაც ზედიზედ მოიგო კოპა ლიბერტადორესი, ხოლო ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასი.

**პაპუნა ძედია**

# ნუ დამსვამთ სკამზე

## მე ვითამაშებ, თქვენ ფაშისტებს მიხედეთ

სამუელ ეტოოს წინასაჩემპიონო ეიფორია არ ეტყობა. აფრიკელის „ბარსელონა“ პრაქტიკულად უკვე პრიმერადივიზიონის ჩემპიონია, მაგრამ „კამპ ნოუს“ ფორვარდს „მარკასთან“ ინტერვიუში ამაზე ბევრი არ ულაპარაკია. პრიმერას მოგებას ნამდვილად ვიმსახურებთო, მხოლოდ ეს თქვა. ეტოომ მედიასთან ჩემპიონთა ლიგაზე, რასიზმზე და „ჩელსის“ ფულუხვ შეთავაზებაზეც ისაუბრა



— ხომ არ ფიქრობთ, რომ „ბარსა“ სეზონის დასასრულისკენ რალაცნაირად მოეშვა და მთელი ძალებით აღარ იბრძვის?

— ვერ დაგეთანხმებით. თითოეულ მეტოქესთან ისე ვთამაშობთ, როგორც საჭიროა, ბრძოლით ყველა ტურში ვიბრძვით. პრიმერას მოგებას ნამდვილად ვიმსახურებთ.

— ჩემპიონთა ლიგაზე „ბარსელონა“ გამოკვეთილი ფავორიტია?

— არ ვიცი. ნახევარფინალებში დარჩენილი გუნდებიდან თასის მოპოვება ყველას ძალუძს... ჩვენი მიზანია, ფინალში გავიდეთ და იქ მთელი სულით და გულით ვითამაშოთ.

— პრიმერადივიზიონში 23 გაიტანეთ და ესპანეთის ჩემპიონატის მთავარმეგოლე ხართ. ძალიან გსურთ საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მოპოვება?

— რომ გითხრათ, გოლებისთვის ჭკუაზე ვიშლები-მეთქი, მართალი არ იქნება. მთავარმეგოლე არც შარშანდელ სეზონში ვყოფილვარ, თუმცა ამის გამო თავი არ მომიკლავს. წლეულს შევეცდები, მიღწევები გავაუმჯობესო, რაც იმას ნიშნავს, რომ ვინმე სხვას კი არ ვებრძვი, არამედ საკუთარ თავს.

— ფრანკ რაიკარდი ხშირად მიმართავს გუნდში ცვლილებებს. ხომ არ გწყინთ, როცა სათადარიგოებში გტოვებენ?

— თუ თავს კარგად ვგრძნობ, გაუგებარია, რატომ უნდა დავისვენო. შეიძლება ის დროც მოვიდეს, რომ მხოლოდ 20 წუთი მათამაშონ, თუმცა ეს ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული. მე კი გუნდის გამარჯვებისთვის თავს არ დავზოგავ.

— აფრიკის თასზე მონაწილეობამ თქვენს სათამაშო ფორმაზე უარყოფითად იმოქმედა. რაც იმ ტურნირიდან დაბრუნდით, ესპანეთის ჩემპიონატში უწინდელზე ცოტა გოლები გაგაქვთ...

— აფრიკის თასი არაფერ შუაშია. შესანიშნავი ტურნირი იყო, თუმცა საბოლოოდ ის არ მოხდა, რასაც ველოდით. კამერუნის ნაკრებმა ყველაფერი კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ მეოთხედფინალიდან ჩემი გაცუდებული პენალტის გამო გამოვვარდით.

— იმ პენალტზე ხშირად ფიქრობთ?

— არც ისე. იმედია, მომავალში ასეთი შეცდომა აღარ მომივა.

— ინგლისურ გაზეთებში წერენ, რომ „ჩელსი“ მზადაა, თქვენს სანაცვლოდ „ბარსელონას“ რეკორდული თანხა, 76 მილიონი ევრო გადაუხადოს. რას იტყვით ამის შესახებ?

— ფული დასახარჯადაა მოგონილი, თუმცა ყოველთვის ვამბობდი, რომ „ბარსელონაში“ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. როცა ვინმე მზადაა, შენ სანაცვლოდ ამხელა ფული გადაიხადოს, ესე იგი საქმეს გადასარევად აკეთებ. „ჩელსის“ ინტერესი ძალიან მსიამოვნებს.

— როცა მოედანზე რონალდინიო არ არის, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობთ?

— არა. რონი, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ თამაშის ბედის გადაწყვეტა დეკუს და ბევრს სხვასაც შეუძლია. „ბარსელონაში“ ყველანი ლიდერები ვართ...

— თქვენს პროფესიულ კარიერაში ეს ყველაზე საუკეთესო პერიოდია?

— ჩემი აზრით, საუკეთესო პერიოდი ჯერ კიდევ წინაა. მეც და „ბარსაც“ ზუსტად იმ გზაზე ვართ, რამაც დიდება უნდა მოგვიტანოს, თუმცა სადღეისოდ არც ჩემთვის და არც კლუბისთვის „ოქროს ხანა“ არ დამდგარა.

— წარმატებისკენ მიმავალ გზაზე რასისტული გამოხდომებით გაწუხებენ. კვირას „რასინგის“ სტადიონზე იქაურმა ფაშისტებმა თქვენს მიმართ ისევ გამოხატეს აგრესია, როგორც ადრე „სარაგოსასთან“ და „ხეტაფესთან“ მოხდა...

— ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს და რასიზმსაც და სხვა საძაგლობასაც მოევლება. მე ფეხბურთს ვთამაშობ, ხოლო ჩინოვნიკებმა სტადიონებზე ფაშისტური გამოხდომების მოსასპობად უნდა იზრუნონ.

— „ელ სარდინეროზე“ რასისტების საპასუხოდ გოლის გატანის შემდეგ კუთხურის ალამს მიარტყით ფეხი. ნაკლებად სავარაუდოა, ამას მაყურებელი დაემშვიდებინა...

— ამ ჟესტით ვერაფერს შევცვლიდი, ვერც სასიკეთოდ და ვერც პირიქით. მატჩის დაწყებიდან ბოლომდე საშინლად მლანძღეს და ჩემი განრისხება ასე გამოვხატე... სხვანაირად არც შემეძლო. ვერაფრით ვერ ვხვდები, ფეხბურთზე შეყვარებული გულშემატკივარი სტადიონზე რასისტულად რატომ უნდა იქცეოდეს.

# ბლექბერნს მეხი დაეცა



რობი სევიჯი

**ინგლისური** „ბლექბერნი“ ავიაკატასტროფას ბეწვზე გადაურჩა. გასულ უქმეებზე კლუბი სტუმრად „პორტსმუთს“ ეთამაშა და როდესაც ბლექბერნელები უკან ბრუნდებოდნენ, მათ თვითმფრინავს მეხი დაეცა. საბედნიეროდ, ზურაბ ხიზანიშვილის გუნდი უვნებლად გადარჩა. მართალია, მიწაზე დაშვების შემდეგ ყველა შოკში იყო, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა, მეხის დაცემას მოჰყოლოდა.

„ეს, ალბათ, ყველაზე კოშმარული დღეა ჩემს ცხოვრებაში. ყველანი დაძაბულები ვიყავით, რადგანაც საშინელი ამინდი იყო და ცას მუქი ლურჯი ფერი ჰქონდა. უცებ ხმამაღალი აფეთქების ხმა გაისმა და ამ მომენტში ვიფიქრე, რომ უკვე იმქვეყნად ვიყავით. ღმერთის წყალობით, პილოტმა თვითმფრინავის უპრობლემოდ დაშვება შეძლო და გადავრჩით“ — თქვა რობი სევიჯმა.

**გიორგი ძაძაძე**



ლუის არაგონესი

# 540 ათასი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ქვეყნის ნაკრების წევრები 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში, გულუხვად დააჯილდოვოს. თუ „ფურია როხა“ („წითელი ქარიშხალი“, ესპანეთის ეროვნული გუნდის მეტსახელია) მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, თითოეული ფეხბურთელი 540 ათას ევროს მიიღებს, თუ ფინალში გააღწიეს, 360 ათას ევროს, ნახევარფინალში გასვლისთვის ესპანელი მოთამაშეები 210 ათას ევროს ჩაიჯიბავენ, ხოლო მეოთხედფინალში თამაშისთვის კი — 90 ათასს.

ეს სასიამოვნო დაპირება „ფურია როხას“ ბიჭებს მართალია, ფედერაციამ აღუთქვა, თუმცა ამის უკან ესპანეთის ნაკრების მხცოვანი მწვრთნელი ლუის არაგონესი დგას. პაპა ლუისმა ჯერ იმაზე იზრუნა, რომ პირინეელ საფეხბურთო მოხელეებს ნაკრების ვალი დროულად დაეფარათ (გუშინ არაგონესის დაჟინებული მოთხოვნით ფედერაციამ ეროვნული გუნდის წევრებს მუნდიალზე მოხვედრისთვის შეპირებული ფული გადაუხადა), შემდეგ კი უფროსობასთან მსოფლიოს ჩემპიონატზე გასაცემი ჯილდოების ამბავიც გაახერხა. „როდესაც გერმანიაში ჩავალთ, ნაკრების ფეხბურთელები ფეხბურთის გარდა არაფერზე არ უნდა ფიქრობდნენ. მინდა, ფინანსური და სხვა სახის პრობლემები ახლავე მოვაგვარო, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი საქმეს მივხედავთ“ — უთხრა „მარკას“ ჟურნალისტს პაპა ლუისმა.

**ლადო ხომერიკი**

## იტალია

სერია B. XXXVI ტური

მანტოვა 0:2 ბოლონია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 36 | 21 | 7 | 8 | 53:35 | 70 |
| კატანია | 36 | 18 | 11 | 7 | 54:36 | 65 |
| ჩეზენა | 36 | 16 | 12 | 8 | 54:41 | 60 |
| მანტოვა | 36 | 16 | 12 | 8 | 42:32 | 60 |
| ტორინო | 36 | 15 | 13 | 8 | 42:31 | 58 |
| ბრეშა | 36 | 14 | 14 | 8 | 47:30 | 56 |
| არეცო | 36 | 14 | 13 | 9 | 39:29 | 55 |
| კროტონე | 36 | 15 | 9 | 12 | 43:38 | 54 |
| მოდენა | 36 | 13 | 14 | 9 | 49:36 | 53 |
| პიაჩენცა | 36 | 12 | 15 | 9 | 49:41 | 51 |
| ბოლონია | 36 | 12 | 14 | 10 | 40:38 | 50 |
| ბარი | 36 | 11 | 13 | 12 | 36:38 | 46 |
| ტრიესტინა | 36 | 11 | 13 | 12 | 36:39 | 46 |
| პესკარა | 36 | 12 | 9 | 15 | 33:41 | 45 |
| ვერონა | 36 | 9 | 16 | 11 | 38:36 | 43 |
| რიმინი | 36 | 9 | 14 | 13 | 37:42 | 41 |
| ვიჩენცა | 36 | 11 | 7 | 18 | 32:46 | 40 |
| ალბინოლეფე | 36 | 7 | 15 | 14 | 30:43 | 36 |
| აველინო | 36 | 8 | 12 | 16 | 37:58 | 36 |
| ტერნანა | 36 | 7 | 14 | 15 | 29:48 | 35 |
| კრემონეზე | 36 | 6 | 10 | 20 | 29:45 | 28 |
| კატანძარო | 36 | 7 | 7 | 22 | 22:48 | 28 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა XXIX ტური

დინამო 3:2 კარლსრუე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალემანია | 29 | 19 | 4 | 6 | 56:29 | 61 |
| ბოხუმი | 29 | 17 | 8 | 4 | 49:21 | 59 |
| კოტბუსი | 29 | 14 | 8 | 7 | 43:29 | 50 |
| ფიურტი | 29 | 13 | 8 | 8 | 46:38 | 47 |
| კარლსრუე | 29 | 13 | 7 | 9 | 41:36 | 46 |
| ფრაიბურგი | 29 | 13 | 6 | 10 | 35:30 | 45 |
| ჰანზა | 29 | 13 | 4 | 12 | 41:38 | 43 |
| ბურგჰაუზენი | 29 | 10 | 10 | 9 | 35:42 | 40 |
| აუე | 29 | 10 | 9 | 10 | 32:33 | 39 |
| პადერბორნი | 29 | 10 | 7 | 12 | 37:30 | 37 |
| უნტერჰახინგი | 29 | 11 | 4 | 14 | 39:40 | 37 |
| ბრაუნშვაიგი | 29 | 11 | 4 | 14 | 32:37 | 37 |
| მიუნხენი | 29 | 9 | 9 | 11 | 37:37 | 36 |
| ოფენბახი | 29 | 9 | 6 | 14 | 31:50 | 33 |
| ზაარბრიუკენი | 29 | 9 | 5 | 15 | 34:56 | 32 |
| დინამო | 29 | 8 | 6 | 15 | 29:41 | 30 |
| ალენი | 29 | 7 | 7 | 15 | 31:44 | 28 |
| ზიგენი | 29 | 6 | 6 | 17 | 29:46 | 24 |

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა XXIV ტური

ლიბერეცი 1:1 ტეპლიცე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 24 | 14 | 8 | 2 | 34:15 | 50 |
| ტეპლიცე | 24 | 10 | 12 | 2 | 31:19 | 42 |
| ბოლესლავი | 23 | 12 | 5 | 6 | 37:28 | 41 |
| სლავია | 23 | 11 | 7 | 5 | 40:27 | 40 |
| სპარტა | 23 | 9 | 5 | 9 | 33:31 | 32 |
| იაბლონეცი | 24 | 9 | 5 | 10 | 31:32 | 32 |
| სიგმა | 23 | 9 | 5 | 9 | 29:33 | 32 |
| მოსტი | 24 | 9 | 3 | 12 | 25:31 | 30 |
| პრჟიბრამი | 23 | 7 | 8 | 8 | 30:26 | 29 |
| ბანიკი | 22 | 7 | 6 | 9 | 19:22 | 27 |
| ზლინი | 22 | 7 | 6 | 9 | 18:23 | 27 |
| სლოვაცკო | 24 | 6 | 8 | 10 | 23:27 | 26 |
| პლზენი | 24 | 5 | 9 | 10 | 24:30 | 24 |
| ბრნო | 22 | 4 | 11 | 7 | 22:24 | 23 |
| ბლშანი | 23 | 4 | 10 | 9 | 16:31 | 22 |
| იჰლავა | 22 | 4 | 8 | 10 | 14:27 | 20 |

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი XXXIII ტური

ვალანსიენი 2:0 გენგამი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 33 | 17 | 12 | 4 | 45:27 | 63 |
| ვალანსიენი | 33 | 17 | 11 | 5 | 44:25 | 62 |
| ლორიანი | 33 | 16 | 10 | 7 | 39:22 | 58 |
| ბასტია | 33 | 16 | 8 | 9 | 44:30 | 56 |
| კაენი | 33 | 14 | 12 | 7 | 44:30 | 54 |
| დიჟონი | 33 | 13 | 11 | 9 | 38:29 | 50 |
| ლე ავრი | 33 | 11 | 14 | 8 | 43:35 | 47 |
| კრეტეი | 33 | 11 | 13 | 9 | 41:28 | 46 |
| გრენობლი | 33 | 11 | 10 | 12 | 35:38 | 43 |
| მონპელიე | 33 | 11 | 9 | 13 | 29:36 | 42 |
| რეიმსი | 33 | 9 | 14 | 10 | 28:23 | 41 |
| გენგამი | 33 | 9 | 14 | 10 | 25:26 | 41 |
| გენიონი | 33 | 9 | 14 | 10 | 22:32 | 41 |
| ისტრი | 33 | 10 | 10 | 13 | 28:42 | 40 |
| ამიენი | 33 | 8 | 14 | 11 | 30:34 | 38 |
| შატორუ | 33 | 8 | 13 | 12 | 38:41 | 37 |
| ბრესტი | 32 | 7 | 13 | 12 | 29:36 | 34 |
| ლავალი | 33 | 8 | 7 | 18 | 31:50 | 31 |
| კლერმონი | 33 | 8 | 7 | 18 | 28:53 | 31 |
| სეტე | 32 | 3 | 10 | 19 | 25:49 | 19 |

## პორტუგალია

სუპერლიგა XXX ტური

პენაფიელი 0:0 ბოავიშტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 30 | 21 | 6 | 3 | 48:14 | 69 |
| სპორტინგი | 30 | 20 | 4 | 6 | 46:23 | 64 |
| ბენფიკა | 30 | 18 | 6 | 6 | 46:25 | 60 |
| ბრაგა | 30 | 16 | 6 | 8 | 32:17 | 54 |
| ბოავიშტა | 30 | 12 | 12 | 6 | 35:24 | 48 |
| ნასიონალი | 30 | 13 | 8 | 9 | 37:28 | 47 |
| სეტუბალი | 30 | 14 | 3 | 13 | 26:27 | 45 |
| ლეირია | 30 | 11 | 7 | 12 | 36:38 | 40 |
| ამადორა | 30 | 10 | 7 | 13 | 28:32 | 37 |
| მარიტიმუ | 30 | 8 | 12 | 10 | 32:34 | 36 |
| ნავალი | 30 | 10 | 5 | 15 | 33:42 | 35 |
| ბელენენსეში | 30 | 10 | 4 | 16 | 36:39 | 34 |
| რიუ ავე | 30 | 8 | 10 | 12 | 30:40 | 34 |
| აკადემიკა | 30 | 9 | 7 | 14 | 31:42 | 34 |
| ფერეირა | 30 | 9 | 7 | 14 | 30:44 | 34 |
| ჟილ ვისენტე | 30 | 8 | 6 | 16 | 30:40 | 30 |
| გიმარაეში | 30 | 7 | 9 | 14 | 23:35 | 30 |
| პენაფიელი | 30 | 2 | 9 | 19 | 20:55 | 15 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 565 | პორტსმუთი-არსენალი | 4.70 | 3.40 | 1.70 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 1 | მანჩესტერი-სანდერლენდი | 1.12 | 6.80 | 17.00 | 1.00 | 1.05 | 4.85 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 15:45 | 3 | ბოლტონი-ჩელსი | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| 18:00 | 5 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 18:00 | 6 | ფულემი-ჩარლტონი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 7 | არსენალი-ვესტ ბრომვიჩი | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| 18:00 | 9 | ნიუკასლი-უიგანი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 10 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 18:00 | 11 | ვესტ ჰემი-სიტი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 12 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 17:30 | 13 | ბლექბერნი-ლივერპული | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 23 | კარდიფი-შეფილდი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 20:15 | 24 | ვულვერჰემპტონი-უოტფორდი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 25 | კრისტალ პალასი-ქრიუ | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 18:00 | 26 | ჰალი-ბარნსლი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 27 | იფსვიჩი-ბრაიტონი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 18:00 | 28 | ლიდსი-რედინგი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 18:00 | 29 | ლესტერი-პრესტონი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 30 | ლუტონი-ქოვენტრი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 31 | მილუოლი-პლიმუთი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 32 | ქპრ-დერბი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 33 | სტოკი-საუთჰემპტონი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 18:15 | 34 | უენსდი-ნორვიჩი | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 49 | საუთენდი-ჯილინგემი | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 22:45 | 50 | იოვილი-სკანთორპი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 51 | ბლეკპული-სუონსი | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| 18:00 | 52 | ბორნმუთი-ჰადერსფილდი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 53 | ბრედფორდი-დონკასტერი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 18:00 | 54 | ჩესტერფილდი-კოლჩესტერი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 18:00 | 55 | ჰარტლპული-ბრისტოლი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 56 | ოლდემი-ბარნსლი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 57 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| 18:00 | 58 | სუინდონი-დონსი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 59 | ტრანმერი-ნოტინგემი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 60 | უოლსოლი-პორტ ვეილი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 73 | ჩესტერი-რექსემი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 74 | როვერსი-კარლაილი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 75 | ჩესტერი-უიკომბი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 18:00 | 76 | დარლინგტონი-ნორთჰემპტონი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 77 | გრიმსბი-შრიუსბერი | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| 18:00 | 78 | ლინკოლნი-ბერი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 79 | მენსფილდი-ლეიტონი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 80 | ნოტსი-მაკლსფილდი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 81 | ოქსფორდი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 82 | პიტერბრო-ბოსტონი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 18:00 | 83 | რაშდენი-როჩდეილი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 84 | სტოკპორტი-რექსემი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 85 | ტორკი-ჩელტენემი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 120 | ერდრი-სტრანრარი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 18:00 | 121 | კლაიდი-როსი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 122 | ჰამილტონი-ბრეჩინი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 18:00 | 123 | ქუინი-სტ.ჯონსტონი | 2.65 | 3.30 | 2.20 | 1.46 | 1.20 | 1.32 |
| 18:00 | 124 | სტ.მირენი-დანდი | 1.50 | 3.70 | 5.20 | 1.06 | 1.16 | 2.16 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 126 | დამბარტონი-ეარი | 2.20 | 3.30 | 2.65 | 1.32 | 1.20 | 1.46 |
| 18:00 | 127 | ფორფარი-გრეტნა | 5.50 | 3.70 | 1.45 | 2.21 | 1.14 | 1.04 |
| 18:00 | 128 | პიტერჰედი-ალოა | 1.55 | 3.70 | 4.50 | 1.09 | 1.15 | 2.03 |
| 18:00 | 129 | რეითი-მორტონი | 2.85 | 3.30 | 2.10 | 1.52 | 1.20 | 1.28 |
| 18:00 | 130 | სტირლინგი-პარტიკი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 131 | არბროთი-ალბიონი | 1.50 | 3.80 | 5.00 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 18:00 | 132 | ბერიკი-ისტ ფაიფი | 1.30 | 4.50 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.73 |
| 18:00 | 133 | კოუდენბითი-ისტ სტირლინგი | 1.15 | 5.50 | 9.00 | 1.00 | 1.01 | 3.41 |
| 18:00 | 134 | მონტროუზი-ელგინი | 3.70 | 3.40 | 1.75 | 1.77 | 1.18 | 1.15 |
| 18:00 | 135 | სტენჰაუსმუირი-ქუინს პარკი | 1.55 | 3.80 | 4.50 | 1.10 | 1.15 | 2.06 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 136 | შალკე-კიოლნი | 1.50 | 3.80 | 6.30 | 1.07 | 1.21 | 2.37 |
| 17:30 | 138 | ბაიერნი-არმინია | 1.25 | 4.70 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.29 |
| 17:30 | 140 | დუისბურგი-ჰამბურგი | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 17:30 | 141 | აინტრახტი-მაინცი | 2.05 | 3.10 | 3.60 | 1.23 | 1.30 | 1.66 |
| 17:30 | 142 | ჰერტა-დორტმუნდი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 17:30 | 143 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 17:30 | 650 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 144 | ნიურნბერგი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 19:30 | 145 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 2.45 | 3.10 | 2.80 | 1.36 | 1.30 | 1.47 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 147 | კოტბუსი-ჰანზა | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 21:00 | 148 | კარლსრუე-ოფენბახი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 21:00 | 149 | ზიგენი-პადერბორნი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 169 | ბაიერნი(მ)-ბაირატი | 1.85 | 3.20 | 3.40 | 1.17 | 1.19 | 1.64 |
| 21:00 | 170 | ელვერსბერგი-დარმშტადი | 2.30 | 3.20 | 2.50 | 1.33 | 1.19 | 1.40 |
| 21:00 | 171 | ჰოფენჰაიმი-კობლენცი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 21:00 | 174 | კიკერსი-აუგსბურგი | 2.90 | 3.20 | 2.10 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| 21:00 | 175 | ტრირი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1.85 | 3.20 | 3.50 | 1.17 | 1.21 | 1.67 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 178 | ზალცბურგი-რიდი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 21:30 | 179 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.30 | 4.40 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.83 |
| 21:30 | 181 | გრაცერი-ადმირა | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 21:30 | 182 | ტიროლი-შტურმი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 197 | აარაუ-ბაზელი | 3.90 | 3.20 | 1.80 | 1.75 | 1.23 | 1.15 |
| 21:30 | 198 | გრასჰოპერი-თუნი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 20:45 | 199 | ქსამაქსი-ციურიხი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 21:30 | 200 | სტ.გალენი-ივერდონი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 21:30 | 201 | იანგ ბოისი-შაფჰაუზენი | 1.55 | 3.50 | 5.10 | 1.07 | 1.18 | 2.07 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 203 | ბოლმი-სიონი | 3.85 | 3.20 | 1.80 | 1.74 | 1.22 | 1.15 |
| 21:30 | 204 | ბელინცონა-ლუცერნი | 3.45 | 3.20 | 1.90 | 1.66 | 1.22 | 1.19 |
| 21:30 | 205 | კიასო-ვადუცი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:30 | 206 | კონკორდია-შო დე ფონი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 21:30 | 207 | კრინსი-ვინტერთური | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 21:30 | 208 | ვილი-ლუგანო | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 210 | იუვენტუსი-ლოზანა | 4.30 | 3.30 | 1.65 | 1.86 | 1.19 | 1.10 |
| 21:30 | 211 | ლოკარნო-ბადენი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 225 | მილანი-ინტერი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 214 | პალერმო-რომა | 3.00 | 2.90 | 2.40 | 1.47 | 1.33 | 1.31 |
| 17:00 | 215 | რეჯინა-ასკოლი | 1.95 | 2.50 | 5.20 | 1.09 | 1.41 | 1.68 |
| 17:00 | 216 | სამპდორია-პარმა | 2.20 | 2.40 | 4.40 | 1.14 | 1.46 | 1.55 |
| 17:00 | 217 | ტრევისო-ფიორენტინა | 9.00 | 5.00 | 1.25 | 3.21 | 1.09 | 1.00 |
| 17:00 | 219 | კალიარი-იუვენტუსი | 4.20 | 2.80 | 2.00 | 1.67 | 1.35 | 1.16 |
| 17:00 | 221 | კიევო-მესინა | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 17:00 | 222 | ემპოლი-სიენა | 2.50 | 1.90 | 5.50 | 1.07 | 1.71 | 1.41 |
| 17:00 | 223 | ლაციო-ლივორნო | 1.50 | 3.50 | 7.00 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 17:00 | 224 | ლეჩე-უდინეზე | 2.80 | 3.10 | 2.40 | 1.47 | 1.29 | 1.35 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 247 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.50 | 3.70 | 6.20 | 1.06 | 1.20 | 2.31 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 252 | დეპორტივო-სევილია | 2.15 | 3.00 | 3.35 | 1.25 | 1.30 | 1.58 |
| 20:00 | 253 | მალიორკა-ალავესი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 255 | სოსიედადი-რასინგი | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 246 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 19:00 | 249 | ბეტისი-სელტა | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| 21:00 | 250 | ხეტაფე-რეალი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 19:00 | 254 | ოსასუნა-მალაგა | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 256 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 258 | სარაგოსა-კადისი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 270 | ტულუზი-მეცი | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 271 | ტრუა-აიაჩო | 2.05 | 3.10 | 3.35 | 1.23 | 1.27 | 1.61 |
| 22:00 | 272 | ლე მანი-მონაკო | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 19:15 | 273 | ლილი-ბორდო | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 22:00 | 274 | მარსელი-ნანსი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 22:00 | 275 | ნანტი-ოსერი | 2.45 | 2.90 | 2.80 | 1.32 | 1.30 | 1.42 |
| 22:00 | 278 | სოშო-სტრასბური | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 22:00 | 279 | სტ.ეტიენი-ლანსი | 2.65 | 2.70 | 2.70 | 1.33 | 1.33 | 1.35 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 276 | ნიცა-რენი | 2.70 | 2.80 | 2.65 | 1.37 | 1.33 | 1.36 |
| 22:00 | 277 | პსჟ-ლიონი | 2.75 | 2.90 | 2.55 | 1.41 | 1.32 | 1.35 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 282 | გენიონი-ბასტია | 2.70 | 2.70 | 2.65 | 1.35 | 1.33 | 1.33 |
| 22:30 | 283 | გენგამი-ამიენი | 2.10 | 2.60 | 3.85 | 1.16 | 1.35 | 1.55 |
| 22:30 | 284 | ისტრი-კრეტეი | 1.95 | 2.70 | 4.20 | 1.13 | 1.33 | 1.64 |
| 22:30 | 285 | კლერმონი-რეიმსი | 1.90 | 3.00 | 3.80 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| 22:30 | 286 | სედანი-ლავალი | 1.50 | 3.60 | 5.70 | 1.05 | 1.18 | 2.20 |
| 22:30 | 287 | სეტე-ვალენსიენსი | 3.50 | 3.00 | 1.95 | 1.61 | 1.25 | 1.18 |
| 22:30 | 288 | დიჟონი-შატორუ | 1.85 | 3.00 | 3.90 | 1.14 | 1.25 | 1.69 |
| 22:35 | 289 | კაენი-ლე ავრი | 1.95 | 2.90 | 3.80 | 1.16 | 1.28 | 1.64 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 290 | გრენობლი-მონპელიე | 2.10 | 2.80 | 3.55 | 1.20 | 1.31 | 1.56 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 291 | ლორიანი-ბრესტი | 1.60 | 3.20 | 5.50 | 1.06 | 1.23 | 2.02 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 292 | ანდერლეხტი-ვესტერლო | 1.15 | 6.00 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 4.19 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 294 | სერკლი-ბევერენი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 22:00 | 295 | გენკი-ლიერსი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 22:00 | 296 | გენტი-შარლერუა | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 22:00 | 297 | ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 22:00 | 298 | მუსკრონი-რუსელარე | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 299 | ლუვიე-ბრიუგე | 4.00 | 3.50 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| 22:30 | 301 | სტანდარდი-ბრიუსელი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 22:30 | 302 | ვარეგემი-ლოკერენი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 312 | აიაქსი-ვიტესი | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 22:00 | 314 | ალკმაარი-ტვენტე | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 22:00 | 316 | გრონინგენი-უტრეხტი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 22:00 | 317 | ჰერაკლესი-ბრედა | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 22:00 | 318 | ნაიმეგენი-როდა | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 22:00 | 319 | პსვ-ფეიენოორდი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 22:00 | 320 | როსენდალი-დენ ჰააგი | 4.10 | 3.40 | 1.75 | 1.85 | 1.22 | 1.15 |
| 22:00 | 321 | სპარტა-ვალვაიკი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 22:00 | 322 | ტილბურგი-ჰერენვენი | 3.60 | 3.30 | 1.90 | 1.72 | 1.24 | 1.20 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 20:15 | 335 | ბელენენსეში-სეტუბალი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 22:45 | 341 | პორტუ-ლეირია | 1.30 | 4.50 | 8.50. | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 334 | ამადორა-სპორტინგი | 3.80 | 3.30 | 1.85 | 1.76 | 1.24 | 1.18 |
| 23:45 | 336 | ბოავიშტა-ბენფიკა | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 338 | გიმარაეში-პენაფიელი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 19:00 | 340 | ნავალი-ჟილ ვისენტე | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 343 | რიუ ავე-აკადემიკა | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 339 | მარიტიმუ-ნასიონალი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 23:30 | 337 | ბრაგა-ფერეირა | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 381 | ლეჩნა-პოლონია | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 22:00 | 382 | ლეგია-ლეხი | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 391 | იპლავა-ბოლესლავი | 3.10 | 2.90 | 2.20 | 1.49 | 1.28 | 1.25 |
| 19:00 | 392 | ბრნო-ბლშანი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 19:00 | 393 | ზლინი-სლავია | 2.85 | 2.90 | 2.40 | 1.43 | 1.30 | 1.31 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 428 | ოლბორგი-ვიბორგი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 19:30 | 429 | ორჰუსი-ბრიონდბიუ | 6.50 | 4.00 | 1.45 | 2.47 | 1.18 | 1.06 |
| 17:00 | 431 | ესბიერგი-ნორდსიელანდი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 17:00 | 432 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 3.60 | 3.40 | 1.90 | 1.74 | 1.24 | 1.21 |
| 17:00 | 433 | ოდენსე-ჰორსენსი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 17:00 | 434 | სიონდერიისკე-სილკებორგი | 2.60 | 3.40 | 2.40 | 1.47 | 1.24 | 1.40 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 442 | ფრემადი-სკიოლდი | 1.60 | 3.90 | 4.20 | 1.13 | 1.15 | 2.02 |
| 15:00 | 443 | კოლდინგი-ჰელერუპი | 1.45 | 4.30 | 5.00 | 1.08 | 1.12 | 2.31 |
| 15:00 | 444 | ლიუნგბიუ-იოლსტიკე | 1.65 | 3.80 | 4.10 | 1.15 | 1.17 | 1.97 |
| 15:00 | 445 | ბრიონსჰოი-ჰერფიოლგე | 3.90 | 3.80 | 1.65 | 1.92 | 1.15 | 1.15 |
| 17:00 | 446 | კიოგე-ფრემი | 1.70 | 3.70 | 3.90 | 1.16 | 1.18 | 1.89 |
| 17:00 | 447 | ნიკიობინგი-ფრედერისია | 2.05 | 3.60 | 2.85 | 1.30 | 1.19 | 1.59 |
| 17:00 | 448 | ვეილე-ბრაბრანდი | 1.40 | 4.50 | 5.50 | 1.06 | 1.11 | 2.47 |
| 17:00 | 449 | რანდერსი-აკადემისკი | 1.20 | 5.70 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.48 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 459 | ოდ გრენლანდი-მოლდე | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 460 | რუსენბორგი-სტარტი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| 20:00 | 461 | სანდეფიორდი-ჰამარი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 20:00 | 462 | ტრომსიო-სტაბეკი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 20:00 | 463 | ვიკინგი-ფრედრიკსტადი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 22:00 | 464 | ლინი-ვოლერენგა | 2.60 | 3.00 | 2.60 | 1.39 | 1.29 | 1.39 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 524 | ზტ.პაული-ბაიერნი | 8.00 | 4.50 | 1.30 | 2.88 | 1.11 | 1.00 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23:05 | 525 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **სლოვაკეთი. თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 551 | პეტრჟალკა-რუჟომბეროკი | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| | | **ესპანეთი. თასი(ნ)** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23:30 | 529 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 532 | რენი-მონპელიე | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 534 | ვარეგემი-სტანდარდი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 535 | აგროტიკოსი-აეკ | 5.00 | 3.20 | 1.65 | 1.95 | 1.24 | 1.08 |
| 20:00 | 536 | ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 3.60 | 3.20 | 1.85 | 1.69 | 1.22 | 1.17 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 14:00 | 537 | ცსკა-რუბინი | 1.40 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.48 |
| 19:00 | 538 | ტორპედო-ზენიტი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 15:00 | 539 | დინამო-სატურნი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 540 | ლოკომოტივი-სპარტაკი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 528 | რომა-პალერმო | 1.65 | 3.20 | 5.20 | 1.08 | 1.25 | 1.98 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **-12 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 549 | კუოპიო-კტპ(ნ) | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 555 | ლიბერტადი-პაულისტა | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 23:45 | 556 | კარაკასი-ჩივასი | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| 23:45 | 557 | სიენსიანო-სან პაულუ | 3.10 | 3.20 | 2.00 | 1.57 | 1.21 | 1.23 |
| 23:45 | 558 | ნასიონალი-რივერ პლეიტი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 559 | ინდეპენდიენტე-სპორტინგ კრისტალი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 23:45 | 560 | ესტუდიანტესი-ბოლივარი | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 23:45 | 561 | პალმეირასი-სერო | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 23:45 | 562 | როსარიო-ატლეტიკო ნას. | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10565 | პორტსმუთი-არსენალი | 5.20 | 2.10 | 2.00 | 1.49 | 1.44 | 1.02 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11565 | პორტსმუთი-არსენალი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)**
**(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

12565 პორტსმუთი-არსენალი ------------- 1.70 ----- 1.90

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

13565 პორტსმუთი-არსენალი ------------- 1.70 ----- 1.90

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14565 პორტსმუთი-არსენალი ------------- 2.40 ----- 1.40

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15565 პორტსმუთი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**ფრეს გარეშე**
**(ძირ დრო)**

16565 პორტსმუთი-არსენალი ------------- 2.80 ----- 1.30

**გოლი:ფსონი-1თუ კენტი-2.**
**(0:0 ითვლება ლუწად)**

17565 პორტსმუთი-არსენალი ------------- 1.85 ----- 1.95

# ქართველები უცხოეთში

## ქართველები ადრიატიკის ფსკერზე
## ელკლასიკური შემონდი



მანუჩარ მარკოიშვილი ადრიატიკის ლიგას ემშვიდობება

**გასული** კვირა ლეგიონერთა მატჩებით დახუნძლული გამოდგა, ყველაზე დიდი ქარტეხილები კი ბარსელონელმა შემონდ უილიამსმა გამოიარა, რომელიც კონტინენტის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის — ევროლიგის ოთხთა ფინალის ზღურბლზეა.

საქართველოს ნაკრების ამერიკელი გამთამაშებელი ევროლიგაში გამართული „ელ კლასიკოს“ მთავარი გმირი იყო. წუხელ გვიან ღამით „ბარსა“ — „რეალის“ საპლეი-ოფო სერიის გადამწყვეტი მატჩი დასრულდებოდა, მანამდე კი ამ გუნდებმა თავ-თავიანთ ქალაქებში თითო გამარჯვება მოიპოვეს.

სერიის საწყისი მატჩის ბომბარდირი უილიამსი გახდა. მან „რეალს“ 29 წუთში 23 ქულა ჩაუგდო და კატალონიელებს ცალი ფეხი ოთხთა ფინალში ჩაადგმევინა. თუმც საპასუხო მატჩი მადრიდში მასპინძლებმა მოიგეს და ყველაფერი ბარსელონურ ჯახზე ჰკიდია.

უილიამსი ოთხთა ფინალისთვის იბრძვის, საქართველოს ნაკრებში მისი თანაამპლუელი გიორგი ცინცაძე კი ევროლიგის მონათესავე ტურნირის, ულებ-ის თასის ფინალშია. მის „დინამოს“ წუხელ უნდა ეთამაშა ბერძნულ „არისთან“.

ახლა ბალკანეთში გადავინაცვლოთ, სადაც ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების გაერთიანებული ტურნირის, ადრიატიკის ლიგის რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა. სამწუხაროდ, ამ ტურნირში მონაწილე ვერც ერთი ქართველი ვერ გავიდა პლეი ოფში. მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიამ“ მეთერთმეტე, დავით უგრეხელიძის „პივოვარნამ“ კი სულაც ბოლო ადგილი დაიკავა.

— ეს სეზონი ცუდად ჩავატარეთ. ამის მიზეზები საკმარისად გვქონდა — *გვეუბნება „ოლიმპიას“ ქართველი უკანახაზელი მანუჩარ მარკოიშვილი* — ჩემპიონატის დაწყებამდე 11 ახალი მოთამაშე შემოგვემატა, შუა სეზონში მწვრთნელები და 7 კალათბურთელი გამოიცვალა, გუნდის ხელმძღვანელობამ მენეჯმენტიც შეცვალა და წარმატებებზე არც არავინ ფიქრობდა.

— უგრეხელიძის „პივოვარნა“ ბოლო ადგილზე გავიდა და რა ბედი ეწევა?

— ადრიატიკის ლიგიდან არავინვარდება. უბრალოდ, რომელი ქვეყნის გუნდებსაც ყველაზე მეტი წაგება დაუგროვდება, იმ ქვეყანას ლიგაში ერთი ადგილი აკლდება. სლოვენიურმა კლუბებმა ამ სეზონში ყველაზე მეტი წააგეს და ოთხის ნაცვლად სამი ადგილი ექნებათ ადრიატიკის ლიგაში. თუ „პივოვარნა“ სლოვენიის ჩემპიონატის სამეულში მოხვდება, ადრიატიკაზე კვლავ ითამაშებს.

— როდის ერთვებით სლოვენიის ჩემპიონატში?

— ხვალ. სლოვენიის საუკეთესო 6 გუნდი ორ წრეს ითამაშებს და მერე ოთხი მოწინავე ნახევარფინალში დაწყვილდება.

აი, ასე, ადრიატიკული მარათონი ქართველებისთვის დასრულდა. ღლუიდან უგრეხელიძესა და მარკოიშვილს შიდაჩემპიონატში მოუწევთ გარჯა.

ევროპაში მოთამაშეთაგან გამოსარჩევია ვახტანგ ნაცვლიშვილის მოედანზე დაბრუნება. ორკვირიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, რაც ფეხის მიკროტრავმით იყო გამოწვეული, ვახტანგი საფრანგეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან მატჩში დაბრუნდა და „დიჟონმაც“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. ქართველმა ფორვარდმა „პო ორტეზთან“ 15 წუთში 6 ქულა და 2-2 მოხსნა-პასი მიითვალა.

მცირე ტრავმა აწუხებს ზაზა ფაჩულიასაც, რომელმაც გუშინწინ ვერ ითამაშა მის პირველ ნბა-ურ კლუბ „ორლანდოსთან“. ზაზამ გასული კვირის ორი მატჩიც გამოტოვა, ოღონდ გრიპის მიზეზით, თუმც ორჯერ მაინც მოახერხა მოედანზე გასვლა. „მინესოტასთან“ და „ვაშინგტონთან“ მოგებულ მატჩებში ფაჩულიამ ღირსეულად ითამაშა და ატლანტელთა წარმატებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | კარპისა | ს | 97:76 | 33 | 7 | 3 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ბოსნია | ს | 69:81 | 26 | 8 | 0 | 2 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ფმპ (ბელგრადი) | შ | 61:94 | 4 | 1 | 0 | 0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპ. | პო ორტეზი | შ | 89:80 | 15 | 6 | 2 | 2 |
| სერგო ათუაშვილი | ბარეირენშე | პორტუგალიის ჩემპ. | ფერპინტა | ს | 63:94 | 11 | 4 | 3 | 0 |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა | რეალი<br>რეალი | შ<br>ს | 72:58<br>78:84 | 29<br>27 | 23<br>6 | 5<br>4 | 4<br>5 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | ლიტვის I ლიგა | კაუნო<br>კაუნო | ს<br>შ | 71:85<br>83:76 | 22<br>29 | 14<br>16 | 3<br>5 | 0<br>5 |
| გიორგი ცინცაძე | დინამო (მოს) | რუსეთის სუპერლიგა | დინამო-რეგიონი | ს | 81:72 | განაცხადში არ იყო | | | |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ | მინესოტა<br>ვაშინგტონი<br>ნიუ ჯერსი | შ<br>შ<br>ს | 101:99<br>114:101<br>94:96 | 32<br>29<br>არ უთამაშია | 15<br>16 | 2<br>8 | 1<br>1 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ფინიქსი | NBA რეგულარული ჩემპ | კლიპერსი<br>ლეიკერსი | შ<br>შ | 119:105<br>107:96 | არ უთამაშია<br>არ უთამაშია | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

## ქართული ოლსტარი



*ვერის ბაღში, კვირას 15 საათზე*

წარდგენა

I მეოთხედი

სამქულიანების კონკურსი

*(ნახევარფინალები)*

II მეოთხედი

ჩატენვების კონკურსი

*(ნახევარფინალები)*

სამქულიანების კონკურსის

ფინალი *(დაჯილდოება)*

III მეოთხედი

ჩატენვების კონკურსის ფინალი

*(გამარჯვებულის დაჯილდოება)*

IV მეოთხედი

საუკეთესო მოთამაშის დაჯილდოება

## თქვენი ინტერვიუ
## ზაზა ფაჩულიასთან

*თქვენი მორიგი რესპონდენტი საქართველოს საკალათბურთო ნაკრების და „ატლანტა ჰოქსის“ ცენტრალური თავდამსხმელი ზაზა ფაჩულია იქნება.*

*მოგვაწოდეთ კითხვები და ნბა-ს ყველაზე წარმატებულ ქართველთან ინტერვიუ არაუგვიანეს 25 აპრილამდე გამოქვეყნდება.*

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დევისიდან დევისამდე

## გუნდური მორჩა, ახლა პირადის დროა



დევისის თასის პირველმა წრემ ჩაიარა. ქართველებმა სამხრეთაფრიკელებს დაახრევინეს ჩოგანი და თუ პოლონელებსაც აჯობეს, მეორე ევრო-აფრიკული ჯგუფიდან პირველში აინაცვლებენ. გადამწყვეტი თამაშები ივნისშია, მანამდე კი ჩვენი ნაკრების წევრები ინდივიდუალურ კარიერას მიხედავენ. სადევისთასო ემოციებსა და სამომავლო გეგმებზე ირაკლი ლაბაძესა და ლადო ჩიხლაძეს გუშინ ველაპარაკეთ. ჯერჯერობით ორივე საქართველოშია და მომავალი ტურნირებისთვის ემზადება

### ირაკლი ლაბაძე:

## ჯანმრთელად ვიყო და...

...სამხრეთაფრიკელებთან გამარჯვების იმედი, ცხადია, მქონდა, მაგრამ თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს ძალიან ძნელი იქნებოდა. რეიტინგით აფრიკელები აშკარად წინ იყვნენ. თუნდაც ის რად ღირს, რომ მათი ნაკრები ჯგუფში მეორე ნომრად იყო განთესილი. მშვენივრად მოვიგეთ. კარგი იქნებოდა, ვესლი მუდი დამემარცხებინა და საქმე მეოთხე შეხვედრაშივე მომემთავრებინა... სამწუხაროდ, არ გამომივიდა, იღბალმა მუდის გაუღიმა.

...ყველაზე დიდი სიურპრიზი ჩემთვის ლადოს ბრწყინვალე თამაში იყო. პირველივე დღეს მუდსთან ისე ლამაზად ითამაშა, გაგვაოცა. წყვილებში უფრო ძლიერად გამოიყურებოდა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი — ფანტასტიკურად. შარშანდელთან შედარებით, გაცილებით ძლიერ ფორმაშია და თუ ასე გააგრძელა, ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყებს რეიტინგში ალმასვლას.

ცალკე სასაუბრო თემაა მისი მოწოდება. ძალა არც ადრე აკლდა, ახლა სიზუსტეც დაამუშავა და... თავადაც ნახეთ, სამ დღეში ასზე მეტი ეისი გააკეთა. თამამად შემიძლია გითხრათ, უძლიერესი მოწოდება აქვს.

...ივნისში პოლონეთს ვეთამაშებით და თუ მოვუგეთ, გაისად პირველ ჯგუფში ვიქნებით. რეალურად რომ შევხედოთ, უნდა ვაჯობოთ. მხოლოდ წყვილი ჰყავთ სერიოზული, რეიტინგში ოცდაათეულში შედიან, ინდივიდუალურში კი, იმედია, მეც და ლადოც ორივე შეხვედრას მოვიგებთ. თუმც ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

...თბილისს ან ერთ დღეში დავტოვებ, ან ერთ კვირაში. ეს იმაზეა დამოკიდებული, უახლოესი ტურნირი როდის მექნება. სავარაუდოდ, ამაღამ ან ხვალ დილით გავიგებ, მოვხვდები თუ ვერა მონტე კარლოს ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში. თუ მოვხვდი, სასწრაფოდ გავემგზავრები. მერე ევროპაში ჩამოვალ და დაკარგულის ასანაზღაურებლად ქულების გროვებას 50-ათასიანი იტალიური ჩელენჯერებით შევუდგები. წელიწადნახევრიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ფაქტობრივად თავიდან ვიწყებ კარიერას. ამ ხნის განმავლობაში პირველადაა, რომ ორი კვირა გავიდა ისე, არაფერი წამომტკივებია. ჯანმრთელად ვიყო და დანარჩენი მე ვიცი. ჩვეული ფორმის აღსადგენად რამდენიმე დღე მეყოფა.

### ლადო ჩიხლაძე:

## არ უნდა გავთამამდეთ

...აფრიკელების ძლევაში ჯერ კიდევ თამაშების დაწყებამდე ვიყავი დარწმუნებული. ეს პირდაპირაც ვთქვი. წარმატების რწმენას საკუთარი თავის იმედი მიძლიერებდა. როცა ფორმაში ხარ, მიუწვდომელი არაფერია. საოცარი გრძნობა იყო. უდიდესი სიამოვნება მივიღე. იმედია, პოლონეთსაც მოვუგებთ. რეიტინგით მათი ნაკრები სამხრეთ აფრიკაზე სუსტია, თუმც არ უნდა გავთამამდეთ. საკუთარ მოედანზე გვეთამაშებიან და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. პოლონეთში გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე თბილისში შევიკრიბებით.

...ირაკლი მუდთან მეხუთე სეტს რომ თამაშობდა, ვნატრობდი, ნეტავ მოიგოს-მეთქი. ამ შემთხვევაში საერთო გამარჯვებას ნაადრევად გავინაღდებდით და ბოლო თამაშზე ზედმეტი ტვირთი მომეხსნებოდა. გადამწყვეტი გათამაშებების საყურებლად ნერვები არ მეყო და გარეთ გამოვედი. როცა ირაკლიმ წააგო და გავიაზრე, რამხელა პასუხისმგებლობა გადმოვიდა ჩემზე, კინაღამ ვიტირე. კორტზე გამოსვლისას ფეხები მიკანკალებდა. მამაჩემი თავის დროზე კალათბურთს თამაშობდა და იმ წუთებში მისი სიტყვები გამახსენდა — სპორტის სასახლის აგუგუნებისას პულსი ისე მივარდებოდა, ვერაფერს ვერ ვხედავდიო. მეც იგივე დამემართა, მაგრამ პირველივე ბურთის გათამაშებაზე ვიგრძენი, რომ აფრიკელი ვერაფერს დამაკლებდა. ირაკლიმაც ისე გამამხნევა, უბრალოდ, წაგების უფლება არ მქონდა. ნაკრების კაპიტან გელა ელერდაშვილს კი ვუთხარი, შარშანწინ იტალიასთან დევისის თასის გადამწყვეტი შეხვედრა რომ ვერ მოვიგე, დღეს გამოვასწორებ-მეთქი.

...თბილისში გერმანელ შეყვარებულთან ერთად ვარ ჩამოსული. აქაურობას ვათვალიერებინებ. სამ დღეს დავრჩებით, მერე კი მორიგ ტურნირზე გავემგზავრები. სავარაუდოდ, მექსიკაში ან ეკვადორში ვითამაშებ 125-ათასიანს. შემდეგ ორი კვირა ამერიკაში ვივარჯიშებ და გერმანიაში ჩავალ საკლუბო პირველობაზე.

...ყველა მეუბნება და თავადაც ვატყობ, რომ შარშანდელს აქეთ ძალიან მოვუმატე. ისევ გერმანელი ოლივერ გროსი მავარჯიშებს. უძლიერესი სპეციალისტია. ვისაც ეჭვი ეპარება, ერთი წლის შემდეგ ნახოს, როგორი ჩოგბურთელი ვიქნები. ამჟამად რეიტინგში ხუთასს ქვემოთ ვარ, მაგრამ გულახდილად გეტყვით, რეიტინგზე საერთოდ არ ვფიქრობ. მთავარია, თამაში დავხვეწო. შედეგი თავისით მოვა.

**ოთარ მაღლაკელიძე**





ოლივერ გროსის ხელში ლადო ჩიხლაძე თამაშიდან თამაშამდე უმატებს

# ანას მეორე გაშინაურება

ჩარლსტონი. აშშ. თიხნარი
საპრიზო 1 340 000 $

**პირველი წრე**

**ანა ტატიშვილი** (საქართველო) — ლაურა პოუს-ტიო (ესპანეთი) — 3:6 6:3 7:5; **სიბილ ბამერი** (ავსტრია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) — 6:4 6:1; **კაროლინა შპრემი** (ხორვატია) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) — 7:5 6:4; **ანტონელა სერა ძანეტი** (იტალია) — მარია-ალეხანდრა ვენტო-კაბჩი (ესპანეთი) — 4:6 7:5 6:4; **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) — 6:4 5:7 6:2; **მეილენ ტუ** (აშშ) — ემი ფრეიზერი (აშშ) — 6:3 6:4; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) — 6:2 6:4; **მარტინა სუხა** (სლოვაკეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) — 6:4 6:1; **ნეა უზეროი** (აშშ) — ლიზა რეიმონდი (აშშ) — 6:3 3:6 6:1; **კრისტინა ბრანდი** (პუერტო რიკო) — სოფია არვედსონი (13, შვედეთი) — 7:5 6:3; **ლურდეს დომინგეს-ლინო** (ესპანეთი) — ვიქტორია კუტუზოვა (ბელარუსი) — 6:3 7:5; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) — ეშლი ჰაკელროუდი (აშშ) — 6:2 6:0; **იულიანა ფედაკი** (უკრაინა) — კონჩიტა მარტინეს გრანადოსი (ესპანეთი) — 7:5 6:3; **ლუსი შაფაროვა** (14, ჩეხეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) — 5:7 6:1 6:4; **ალიონა ბონდარენკო** (უკრაინა) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) — 6:1 7:5

სათიხნარო სეზონი იწყება და ჩოგბურთელები იძულებულნი ხდებიან, ჰარდიდან გრუნტზე გადაერთონ. აგერ, ამერიკულ ჩარლსტონშიც პირველი სერიოზული თიხნარის ტურნირიც დაიწყო.



ჯერჯერობით ფავორიტები არ ჩართულან გათამაშებაში, მაგრამ ჩარლსტონში ჩატარებულ პირველ სათამაშო დღეს მაინც დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით, რადგან აქ ჩვენი თანამემამულე — ანა ტატიშვილი თამაშობდა.

ჩვენი კაცთა ნაკრების გმირობის შემდეგ გუშინ კიდევ ერთი, მართალია მცირე, მაგრამ მაინც წარმატება ვიხილეთ. 16 წლის ტატიშვილმა მოუგო ესპანელ ლაურა პოუს-ტიოს და გადალახა პირველი წრე.

ესპანელი ამჟამად რეიტინგში 81-ე ადგილზეა, მაშინ, როცა ანა დიდ ჩოგბურთს ახლა უშინაურდება. ტატიშვილისთვის ჩარლსტონი მეორე სერიოზული ტურნირია. აქამდე მან მხოლოდ კიბისკეინში მოასწრო თამაში და იქაც შეძლო პირველი წრის გადალახვა.

მატჩი კი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. აქ ანამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ნამდვილი მებრძოლია და არც ფიზიკურ ფორმას უჩივის. ქართველს კვლავაც სამი სეტის ჩატარება მოუხდა, თუმცა, მიუხედავად ასეთი დატვირთვისა, დაღლილობა არ შეტყობია.

ტატიშვილმა პირველი სეტი დათმო 6:3, თუმცა შემდეგ ასეთივე ანგარიშით იმარჯვა მომდევნო პარტიაში. გადამწყვეტი სეტი ყველაზე დაძაბული გამოდგა და ყველაფერი მეთორმეტე გეიმში გაირკვა, როცა ჩვენებურმა მატჩის მომგები ბრეიკი გააკეთა.

მეორე წრეში ტატიშვილს გაცილებით სერიოზული გამოცდა ელის ფრანგ ნატალი დეშისთან, რომელიც ამჟამად რეიტინგში 24-ე პოზიციაზეა. 27 წლის დეში საკმაოდ მაღალი კლასის ჩოგბურთელია და ჩარლსტონშიც მე-9 ნომრად არის განთესილი. იმედი დავიტოვოთ, რომ ჩვენებური ფრანგთანაც შეძლებს თავის საუკეთესო თვისებების გამოვლენას.

**ბახა ლომაშვილი**



# კანდელაკი მიდის და ღირსეულ[illegible]ელის ცისკარიშვილი ფიქრობს



ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი კანდელაკი

*პრაქტიკულად გადაწყვეტილია: გიორგი კანდელაკი საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტს ტოვებს. კანდელაკის ფედერაციის თავკაცობიდან შესაძლო წასვლა მას შემდეგ გახმაურდა, რაც სამიოდ დღის წინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა ჟურნალისტებს არც მთლად კულუარულად გაანდო, ქართული კრივის სათავეში კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი უკეთესი კადრი იქნებაო.*

*კანდელაკი რომ ნებით წასვლას არ აპირებდა, ეს ორიოდე კვირის წინ „სარბიელთან“ ინტერვიუშიც თქვა, მაგრამ...*

— ახლა გაურკვეველი ვითარებაა და ამ დღეებში დალაგდება ყველაფერი, საბოლოოდ არ გადამიწყვეტია, წავიდე თუ არა — გვითხრა გუშინ გიორგი კანდელაკმა.

— თქვენი გადაწყვეტილება რაზე იქნება დამოკიდებული?

— იმაზე, თუ ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი. შევხედავ და თუ ვნახავ, რომ ქართულ კრივს ღირსეული კაცი მიხედავს, ნებით გავეცლები, თუ არა და...

— ბრძოლას გააგრძელებთ?

— ვნახოთ.

— თქვენს მემკვიდრედ პეტრე ცისკარიშვილს ასახელებენ. თქვენთვის მისაღები კანდიდატურაა?

— დიახ, მისაღებია...

— თუ დატოვეთ პოსტი, ეს თქვენი ნებით მოხდება?

— მე ევროპის კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ვარ, სამუშაო იქაც მყოფნის და ჩემს საქმიანობას პროფესიულ კრივში გავაგრძელებ.

— ანუ წასვლა მაინც გადაწყვიტეთ?

— წასვლა მინდა და ღმერთმა ჰქნას, ახალმა ხელმძღვანელობამ ქართული კრივი უფრო აალორძინოს.

*კრივის ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატს, კახეთის გუბერნატორ პეტრე ცისკარიშვილს გუშინ ტელეფონით შევეხმიანეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, კონკრეტული პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.*

— ამ საკითხზე კომენტარს ჯერ ვერ გავაკეთებ.

— მოსაფიქრებლად რა დრო დაგჭირდებათ?

— კონსულტაციებს გავივლი ყველა საჭირო ინსტანციასთან და მხოლოდ ამის მერე გადაწყდება, რა როგორ იქნება.

— მაინც, როდის მიიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას?

— გადაწყვეტილებას მე არ ვიღებ. სპორტის მესვეურებთან მოლაპარაკებების შემდეგ ერთად გადავწყვეტთ ყველაფერს.

— ის მაინც გვითხარით, შეკრება როდის შედგება?

— ვერ გეტყვით...

**ბაჩო სვანიძე**
**ოთარ მაღლაკელიძე**



# ერთი საგზურის ოთხი მაძიებელი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**ორი** დღეც და თბილისში ევროპის 20-წლამდელ ჭაბუკ ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყება. 14-16 აპრილს სპორტის სასახლეში ფინალური ეტაპის ერთადერთი საგზურისთვის მასპინძლებთან ერთად რუმინეთის, პოლონეთისა და კვიპროსის ნაკრებები იბრძოლებენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი რანგის სახელბურთო შეჯიბრება საქართველოში პირველად ტარდება.

გუშინ სპორტის სასახლის სარბიელზე პირველად ივარჯიშა ჩვენმა ნაკრებმა. გუნდში ის 16 ხელბურთელია, რომლებიც ახლახან დაბრუნდნენ ბაქოდან ათდღიანი შეკრების შემდეგ.

ბიჭებმა ვარჯიში არენის გარშემო ძუნძულით დაიწყეს, მერე კი მოედნის ცენტრში „გახურდნენ“. სასახლის ვეება სივრცესთან შესაჩვევად მწვრთნელებმა, ირაკლი კეკელიძემ და ბექა ორჯონიკიძემ ჯერ ნახევარი საათი ფეხბურთი ათამაშეს, მერე ინდივიდუალური და ჯგუფური ვარჯიშების ჯერი დადგა.

ძირითადი ყურადღება გამახვილდა დაცვაში ვარიანტებზე. ნაკრების წევრთა უმეტესობა (11) ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის „ქარიშხალადანაა“. ამ გუნდის მთავარი ძალა სწორედ შეუვალი დაცვა, უფრო ზუსტად კი ორმეტრიან მცველთა მძლავრი ბლოკია.

ორსაათიანი მრავალფეროვანი, ინტენსიური ვარჯიშის ბოლოს ყველაზე მიზნიანები კარგა ხანს გუნდის კაპიტანს გაგა სამყურაშვილსა და მის ორ კოლეგა-მეკარეს პენალტის ხაზიდან ბომბავდნენ. აქვე ვიტყვით, რომ მეკარეებს ჩვენი საუკეთესო გოლკიპერი, 24 წლის შოთა თევზაძე ავარჯიშებს.

**გია ახალაძე**


## წამალი „სალხინო“
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო“ და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. „სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge